ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

შაბათი 29 სექტემბერი №106 (11592) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ რესპუბლიკური და საქალაქო გაზეთების, ჟურნალების, ტელევიზიის, რადიოს, გამსახკომის წარმომადგენლები, ჟურნალისტთა მრავალრიცხოვანი პირველადი ორგანიზაციების მდივნები.

სამდივნომ განიხილა რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სტრუქტურის საკითხი.

აღინიშნა, რომ არსებული სტრუქტურა არ შეესაბამება დღევანდელ პირობებში დემოკრატიისა და პლურალიზმის განვითარებას, საქართველოს სსრ მოქმედ კონსტიტუციას. რესპუბლიკაში გამომავალი გაზეთების უმრავლესობა საქართველოს კპ ცენტრალური, საოლქო და საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების ორგანოებია. ახალი პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაზეთები კომპარტიის გაზეთებთან შედარებით არათანაბარ პირობებში არიან. პარტიულ მფლობელობაშია რესპუბლიკის მთავარი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის. გამომცემლობა და მშენებარე ბეჭდვითი სიტყვის სახლიც (ხოშარაულის ქუჩაზე); გაზეთების უმრავლესობის შემოსავალი ირიცხება პარტიულ ბიუჯეტში და ნაკლებად იხარჯება საგამომცემლო მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად, რომელიც უაღრესად დაბალ დონეზეა; არ ხმარდება ჟურნალისტების სოციალური პირობების უზრუნველყოფას. რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების შესაბამისი ხელმძღვანელები ამ პრობლემების გადაწყვეტას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნო თვლის, რომ უნდა შეიცვალოს მასობრივი ინფორმაციის ორგანოების არსებული სტრუქტურა. სამდივნოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციების კოლექტივებმა თვითონ გადაწყვიტონ, ვინ იქნება მათი გამომცემელი, იქნება მათი გაზეთი ვინმეს ორგანო, თუ — თავისუფალი და დამოუკიდებელი გამოცემა, და ამის შემდეგ გაატარონ რეგისტრაციაში. სამდივნო ურჩევს რესპუბლიკურ გაზეთებსა და ჟურნალებში მომუშავე ჟურნალისტებს, რომელთა რედაქციების მოგება უშუალოდ ირიცხება სკკპ ბიუჯეტში, განიხილონ სრული პოლიტიკური და ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხი, ამისათვის საჭიროა შეიქმნას საგანგებო ჯგუფები (კომისიები) წარმოების მუშაკების, ეკონომისტების და იურისტების შემადგენლობით, რომლებიც შეიმუშავებენ პრესის პოლიტიკური და ფინანსური დამოუკიდებლობისათვის საჭირო მოდელს. ჟურნალისტთა კავშირი მზად არის უზრუნველყოს ასეთი ჯგუფები მივლინებებით სხვადასხვა რესპუბლიკებში იქ დანერგილი პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

ჟურნალისტთა კავშირის სამდივნოს, საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე მუხლიდან გამომდინარე, მიაჩნია: იმისათვის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღარ იმყოფებოდეს პრივილეგირებულ მდგომარეობაში მასობრივი ინფორმაციის სფეროში, მიზანშეწონილი იქნება, დიდი ფორმატის ყოველდღიური გაზეთი იყოს არა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის, არამედ ა. წ. ოქტომბრის ბოლოს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს ორგანო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კი შექმნას თავისი გაზეთი სხვა პარტიებთან თანაბარი პირობების საფუძველზე. სა დივნო ასევე საჭიროდ მიიჩნევს, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, რომელმაც კარგა ხანია დაფარა ამ ბაზის შექმნაზე გაღებული ხარჯები, გახდეს თავისუფალი გამომცემლობა ან გადაეცეს რომელიმე ინფორმაციის კომიტეტის მსგავს ორგანოს, რომელსაც შექმნის ახლადარჩეული უზენაესი საბჭო. ასეთი ნაბიჯი ერთნაირ მდგომარეობაში ჩააყენებდა ინფორმაციის ყველა საშუალებას და მოგვცემდა იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ გაზეთების მოგების უდიდესი ნაწილი მოხმარდეს საქართველოს ჟურნალისტთა მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრას.

ამ ბოლო დროს მრავალი ჟურნალისტი პირველადი ორგანიზაციის გვერდის ავლით სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტად უშუალოდ კავშირის ხელმძღვანელობას მიმართავს. სამდივნოს მიაჩნია, რომ ჟურნალისტთა პირველადმა ორგანიზაციებმა, მათ მიერ არჩეულმა მდივნებმა მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინონ ჟურნალისტთა საყოფაცხოვრებო და სხვა სოციალური საკითხების გადაწყვეტის საქმეში, იზრუნონ პირველადი ორგანიზაციების ავტორიტეტის ამაღლებისათვის. სამდივნო მზად არის აქტიურად დაუჭიროს მხარი პირველად ორგანიზაციებს

სხდომაზე კვლავ დაისვა საკითხი საწევროების გადახდის თაობაზე. დამსწრეთ განემარტათ, რომ დამოუკიდებელი კავშირის წევრობისათვის წლეულს გადასახდელია 15 მანეთი. აქედან 5 მანეთი პირადობის მოწმობისათვის იგზავნება კავშირში, 10 მანეთი კი რჩება პირველადს ორგანიზაციაში, მის ანგარიშზე და მოხმარდება თვით ჟურნალისტებს, ადგილზე საჭიროებისამებრ (მომავალში ყოველწლიურად გადასახდელი იქნება მხოლოდ 10 მანეთი).

ყოველივე ეს გამორიცხავს არსებულ პრაქტიკას, როდესაც კავშირის სამდივნო და აპარატის თანამშრომლები ხელფასს იღებდნენ ჟურნალისტთა გადასახადებიდან.

სამდივნოზე მწვავე კამათი გაიმართა იმის გამო, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს არ დაუკმაყოფილებია ჟურნალისტთა კავშირის არა ერთი წინადადება ამა თუ იმ ჟურნალისტისათვის საპატიო წოდების მინიჭების თაობაზე. უზენაესი საბჭოს ასეთი უარყოფითი პოზიცია გასაგები იყო, როდესაც მას სათავეში ედგა ძველი ხელმძღვანელობა. დღეს, სამწუხაროდ ჟურნალისტთა კავშირის მიმართ იგივე დამოკიდებულებას აგრძელებს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოების განყოფილება. ვინაიდან ჟურნალისტთა ბევრი პირველადი ორგანიზაცია კვლავ მიმართავს კავშირის ხელმძღვანელობას ამა თუ იმ წევრის საპატიო წოდებაზე შუამდგომლობის აღძვრის შესახებ, გაფართოებულმა სამდივნომ მიიღო გადაწყვეტილება, რათა ეს საკითხი საგანგებოდ დააყენოს მომავალი, ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს წინაშე.

სამდივნომ განსაკუთრებული მსჯელობის საგნად აქცია ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომელთა მიმართვა ქართველი ერისადმი. მან მხარი დაუჭირა ამ მიმართვას და მიაჩნია, რომ არავის არა აქვს უფლება ხელი შეუშალოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ნორმალურ საქმიანობას.

## სამრეკლო — ახალი ქართული სოფელი

პირველი რვა საცხოვრებელი სახლი აშენდა მარნეულის რაიონის ხრამის სათავე ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე. სამრეკლო — ასე დაარქვეს მომავალ ქართულ სოფელს. მისმა მშენებლებმა — რუსთავის მშრომელებმა.

●

## ბუნებრივი რიტმის შესაბამისად

მიმდინარე წლის 29 სექტემბერს ღამით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, განვლილი სამოცი წლის მანძილზე პირველად, საათი კვლავ ამუშავდება ბუნებრივი რიტმის შესაბამისად. კვლავ ირიჟრაჟებს სამყაროს მიერ დადგენილ დროს, ხოლო მზეს შუადღისას ცის კამარის ზუსტად იმ ადგილას დავინახავთ, სადაც ყოველთვის სწორედ იქ არის ამ დროს ვარსკვლავებისა და პლანეტების მოძრაობის ბუნებრივი „განრიგის“ შესაბამისად.

ამრიგად, 30 სექტემბრიდან ჩვენ კვლავ ვიწყებთ ცხოვრებას ბუნებრივი დროის მიხედვით. მაშასადამე, თავსაც უკეთ ვიგრძნობთ, ნაკლებად დავიღლებით და ვიავადმყოფებთ. სრულიადაც არ არის სულ ერთი, როგორ აეწყობა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური რიტმი, რამეთუ იგი შეესაბამება დროის მიმდინარეობას.

დროის ზუსტ აღრიცხვასთან უთანხმოება პირველად 1930 წელს მოგვივიდა. იმ წელს, 16 ივნისს, საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების მაგალითისამებრ შემოიღეს თითქოსდა დღის სინათლის უკეთ გამოყენებისათვის, ეგრეთ წოდებული, ზაფხულის დრო, მაგრამ შემოდგომაზე მისი გაუქმება რატომღაც დაავიწყდათ. კიდევ ერთი, მაგრამ ახლა უკვე ზუსტად „სეზონური“ ზაფხულის საათი გაჩნდა ჩვენში 1981 წელს. მიმდინარე წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, იგი სამუდამოდ გაუქმდა. ახლა, ერთხელ კიდევ საათის ისრის უკან დაწევით ჩვენ სავსებით აღვადგენთ საქართველოში ბუნებრივი დროის მიმდინარეობას — ვიცხოვრებთ მთელი ჩვენი პლანეტისათვის ერთიანი ბუნებრივი რიტმით.

●

## დღეს გლოვის დღეა

საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1990 წლის 22 სექტემბერს ჩოხატაურ-სამტრედიის საავტომობილო გზაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად 1990 წლის 29 სექტემბერი საქართველოში გლოვის დღედ არის გამოცხადებული.

## ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების მონაწილე პარტიებს და საარჩევნო ბლოკებს ვაცნობებთ, რომ საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენის შესახებ განცხადებები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დასამოწმებლად უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს 30 სექტემბრის 18 საათისა. დამოწმებული განცხადებები საოლქო საარჩევნო კომისიებში რეგისტრაციისათვის უნდა წარადგინონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მათი წარდგენიდან სამი დღის ვადაში, ე. ი. 3 ოქტომბრის 18 საათამდე.

საქინფორმი

# ხვალ საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების დღეა

ინტერვიუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან მერაბ ალექსიძესთან

იხ: მე-2 გვ.

ხვალ საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების დღეა

# არჩევნებამდე ერთი დღე რჩება...

რედაქციაში არ წყდება სატელეფონო ზარის ხმა, შემოდის უამრავი წერილი. ამომრჩევლებს აინტერესებთ, როგორი წესით ჩატარდება ეროვნული კონგრესის არჩევნები.

სწორედ ამ საკითხზე ვესაუბრეთ საქართველოს ეროვნული კონგრესის ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, აკადემიკოს მერაბ ალექსიძეს.

**1990 წელს 30 სექტემბერს საქართველოში ეროვნული კონგრესის არჩევნების დღეა. რამდენადაც ეროვნულ ყრილობაზე გადაწყდა, კონგრესი არ იქნება ხელისუფლების ორგანო, იგი იქნება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაკოორდინირებელი ორგანო. ბატონო მერაბ, როგორი საარჩევნო კანონი იმოქმედებს კონგრესის არჩევნებისას, მაჟორიტარული, პროპორციული თუ შერეული?...**

სეკ-ის საარჩევნო კანონი შექმნილია პროპორციული წარმომადგენლობითი წესის საფუძველზე. როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, ესაა არჩევნების ყველაზე უფრო დემოკრატიული წესი, რომელიც პარლამენტის პროფესიონალი პოლიტიკოსებით დაკომპლექტების საშუალებას იძლევა, ამავე დროს ის მაქსიმალურად ითვალისწინებს საზოგადოებაში არსებულ მთელ პოლიტიკურ სპექტრს.

პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩევნების ჩატარება გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე მაჟორიტარულისა. მთელი წინასაარჩევნო კამპანია აქ ცენტრალიზებული წესით მიმდინარეობს. ამომრჩეველი უნდა გაეცნოს სხვადასხვა საარჩევნო ბლოკებისა და პარტიების მიერ წარმოდგენილ კანდიდატთა სიებს და მათგან შეარჩიოს მისთვის უფრო მისაღები ერთი სია, შესაბამისად კი — ამ სიის წარმომდგენი პარტიის პლატფორმა. საგულისხმოა, რომ 1919 წლის შემდეგ, საქართველოში ასეთი არჩევნები არ ჩატარებულა.

**ცნობილია, რომ კონგრესის შემადგენლობა განსაზღვრულია 200 კაცით, შეიქმნა ორასმანდატიანი საარჩევნო ოლქი, რომელიც კენჭისყრისათვის იყოფა საარჩევნო უბნებად...**

დიახ, ეს ასეა, მაგრამ ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ კონგრესის არჩევნების ჩასატარებლად შევქმენით ცენტრალური საარჩევნო კომისია, საქალაქო და რაიონული საარჩევნო კომისიები და საუბნო საარჩევნო კომისიები.

საქართველოს ეროვნული კონგრესის საარჩევნო ბიულეტენი ასეთი სახისაა:

1. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და დემოკრატიული პარტიის ბლოკი;
2. საარჩევნო ბლოკი — „დემოკრატიული საქართველო“;
3. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია — ეროვნული კავშირი;
4. საქართველოს სახალხო პარტია;
5. კომუნისტური პარტიის დემოკრატიული ფრაქცია;
6. საქართველოს მოქალაქეთა ლიგა.

**როგორია არჩევნების საერთო წესი?**

30 სექტემბერს ამომრჩეველი მიდის საარჩევნო უბანში (ეს უბნები მოთავსებულია ძველი საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე), გამოცხადებას ადასტურებს საარჩევნო სიაში ხელმოწერით, შემდეგ ღებულობს ბიულეტენს. საარჩევნო ბიულეტენში ამომრჩეველი გადახაზავს კანდიდატთა იმ სიის ნომერსა და დასახელებას, რომელთა წინააღმდეგაც ის აძლევს ხმას და ტოვებს მხოლოდ ერთ საკანდიდატო სიას (დასაშვებია კანდიდატთა ყველა სიის გადაშლაც).

**ვინ აჯამებს არჩევნების შედეგებს?**

შედეგებს აჯამებს საუბნო-საარჩევნო კომისია, შემდეგ არჩევნების შედეგები შედის ოქმში, დადგენილი წესის მიხედვით.

**ვის აქვს ხმის მიცემის უფლება?**

ყველას, ვინც მუდმივად ცხოვრობს საქართველოში. შექმნილია ხელშემწყობი პირობები ამა თუ იმ ადგილას კომპაქტურად მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისთვისაც.

**რა პირობებში ჩაითვლება არჩევნები ჩატარებულად?**

არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

**წინასწარი მონაცემებით რამდენმა ამომრჩეველმა უნდა მიიღოს სეკ-ის არჩევნებში მონაწილეობა?**

არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს 3 700 000 ამომრჩეველმა. თუკი 1 850 000 ამომრჩეველი მიიღებს მონაწილეობას, ჩავთვლით, რომ არჩევნები არ ჩაიშალა.

**კონგრესს რა შემთხვევაში აირჩევთ?**

იმ შემთხვევაში, თუკი მას დაღებით ხმას მისცემს 925 000 ამომრჩეველი.

**30 სექტემბრამდე ერთი დღე დარჩა. როგორი მდგომარეობაა დღეს საარჩევნო უბნებზე. მზად არიან ისინი ამომრჩეველთა მისაღებად?**

მზად არიან. თუ არ ჩავთვლით მცირერიცხოვან შეფერხებებს. ზოგიერთ რაიონში ვერ მოხერხდა საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობის უზრუნველყოფა (საბურთალო, ვაკე, ისანი). ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ფორუმის შენობის დარბევის დროს დაგვეწვა ამომრჩეველთა სიები...

ვერ მოხერხდა საარჩევნო კომისიების მუშაობა ცხინვალში, გუდაუთაში, ჯავაში, ახმეტაში და ზოგიერთ სხვა რაიონში.

და კიდევ, ვთხოვ, მოგვიტევონ ამომრჩევლებმა იმ ხარვეზებისათვის, რომელიც ჩვენს არჩევნებს სდევს თან, თუნდაც იმიტომ, რომ ის პირველად ეწყობა.

ესაუბრა
**მარინე დონაძე**

**რედაქციისაგან: იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლები სათანადო მიზეზების გამო ვერ შეძლებენ საარჩევნო უბანში ხმის მიცემას, შეუძლიათ მიბრძანდნენ თავიანთი რაიონის რაიონულ საარჩევნო კომისიაში.**

**მისამართები იხ. მე-3 გვერდზე.**

# საქართველოს ეროვნული კონგრესი ანუ ორი ნაბიჯი დამოუკიდებლობამდე

**მამულიშვილნო!** ქართველი ერი ისტორიის გზაჯვარედინზე დგას, ახლოვდება ისტორიული მნიშვნელობის მქონე აქტების ჩატარების ჟამი. ჟამი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ქართველთა პოლიტიკური ყოფნა-არყოფნის საკითხი... სულ რამდენიმე დღეც და საქართველოში, თითქმის 70-წლიანი შესვენების შემდეგ, პირველად უნდა ჩატარდეს მრავალპარტიული არჩევნები. კარგია ეს თუ ცუდი? — რა თქმა უნდა კარგია! გაკვირვებით მომიგებს ყველა დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანი და მართალიც იქნება, მაგრამ... იმ შემთხვევაში, თუ ყოველივე ეს ნორმალურ ქვეყანაში ხდება. ჩვენთან კი... ვითომ, დავიჯეროთ, ასე შეიცვალათ აზროვნება მათ, ვინც ჯერ კიდევ გუშინ ერთიან საბჭოთა ერად ჩამოყალიბებაზე ოცნებობდა? ნუთუ ასე ახლობელი გახდა საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული პრინციპები მათთვის, ვინც სულ ახლახან ანტისაბჭოელად ნათლავდა და თეთრ დათვებთან „დასამეგობრებლად“ აგზავნიდა ადამიანის ელემენტარული უფლებების დამცველთ და მით უმეტეს ეროვნული თავისუფლების მსურველთ?!.. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს სულ რაღაც ერთი წლის წინ ე. წ. საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერიას უწოდებდნენ. მაშ რაშია საქმე, რა შეიცვალა მსოფლიო პოლიტიკაში და მისი ზეგავლენით... საქართველოში?!

როგორც წესი, მოსკოვისა და ვაშინგტონის უმაღლეს დონეზე შეხვედრათა შედეგებს კრემლი არ აქვეყნებს, მაგრამ საბჭოთა იმპერიაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისადმი იმპერიის მესვეურთა დამოკიდებულებიდან, ჩვენ, ასეთი დასკვნა გამოგვაქვს: ბოლშევიკურმა რუსეთმა მეორე მსოფლიო ომამდე და მის შემდეგაც ძალით დაიმორჩილა და დაიპყრო, როგორც ე. წ. სოცბანაკის წევრი ქვეყნები აგრეთვე ე. წ. სსრკ-ს რესპუბლიკები. თუ პირველ შემთხვევაში, კომუნისტური რუსეთის დამპყრობლური სახე აშკარა იყო (მათ შენარჩუნებული ჰქონდათ სახელმწიფოებრიობის ატრიბუტები: საკუთარი ჯარი, საზღვრები, წარმომადგენლობა გაერო-ში და ა. შ.) და ფაქტიურადაც და სამართლებრივადაც დაპყრობილად სცნობდა დასავლეთი ამ ქვეყნებს და ამის გამო იქედან დამპყრობლის ჯარების (წითელი არმიის) გამოყვანის შესახებ შედარებით ადვილად შეთანხმდნენ (ადგილობრივი მარიონეტების მეტნაკლები წინააღმდეგობების დაძლევის შემდეგ ფაქტიურად ყველამ უშველა თავს). გაცილებით რთული და არაერთგვაროვანია ე. წ. საბჭოთა კავშირის საზღვრებში მოქცეული დაპყრობილი ერების მდგომარეობა. საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთის იმპერიის საზღვრებს ფაქტიურად სცნობს დემოკრატიული სამყარო (გარდა ბალტიის რესპუბლიკებისა და კურილიის კუნძულებისა), ხოლო სამართლებრივად მოსკოვის სუვერენიტეტს აღიარებს იმ რესპუბლიკებზე, რომლის მოსახლეობაც სცნობს და მხარს უჭერს საბჭოთა კონსტიტუციას. აქედან გამომდინარე კრემლი ვერაგულად იყენებს რა იმპერიაში დაბჩავებული ერების კორუმპირებულ და უნებისყოფო მონური ფსიქოლოგიის მქონე ადამიანებს, სამართლებრივი ცოდნის დაბალ დონეს, ცდილობს განახლებულ იმპერიას სამართლებრივი სახე მისცეს. რაც წარმატებით განახორციელა უკვე თორმეტ რესპუბლიკაში და ჩვენც იგივე გველის.

ჩვენ ღრმად გვწამს იმათი მოქმედების გულწრფელობის, ვინც უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობს, მაგრამ საუბედუროდ მათი მოქმედება მხოლოდ ვაჟკაცობას ემყარება და არა საერთაშორისო სამართალს, იმ საშიშროებას, რომ უზენაესი საბჭოს მონაწილეობით ქართველი ერი (თანაც საერთაშორისო სამართლის ექსპერტთა თანდასწრებით) აღიარებს და აკანონებს წითელი რუსეთის მიერ 1924 წელს ძალით თავსმოხვეულ და დღემდეს უკანონოდ არსებულ საბჭოთა კონსტიტუციას, რომლის საფუძველზედაც უკვე საქართველო სს რესპუბლიკაა და ნებაყოფლობით არის შესული სსრკ-ის შემადგენლობაში, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სსრკ-ს ჯარის ნაწილები იქნება კანონიერი და არა საოკუპაციო ე. ი. ფაქტობრივი შეუსაბამობა სამართლებრივთან აღარ იარსებებს, ანუ საერთაშორისო სამართალი და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ჩვენი ძირითადი იარაღია, რუსეთის დაუჭერს მხარს, რომლის შემდეგაც ყველა (რაოდენ ვაჟკაცურიც არ უნდა იყოს) იძულებული იქნება ვითომდაც ცენტრის გვერდის ავლით, იმ მატარებელში ჩაჯდეს, რომლის ბოლო სადგურიც რუსული კონფედერაცია იქნება.

დღეს, ჩვენი ერისათვის მეტად მძიმე და დაძაბული ვითარების ჟამს, მოგმართავთ თქვენ, ღვთისმშობლის წილხვედრი იბერიის, შვილნო! და შეგახსენებთ, რომ საქართველოს წინაშე, თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის არსებობის მანძილზე, ბევრჯერ მდგარა ყოფნა-არყოფნის საკითხი, საქართველოს მტრებს მრავალჯერ უცდიათ ქართველი ერის აღგვა მიწისაგან პირისა და სულ უკანასკნელ ჟამს, ყველაზე მძიმე წუთებში ქართველი კაცის სიბრძნესა და პოლიტიკურ ალღოს ისეთნაირად წარუმართავს ერის ძალი და ღონე, რომ ქვეყანა არა თუ უხსნია განსაცდელისა და გადაშენებისაგან, არამედ ეპოქის დამიხედვით შეუქმნია მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი და მაღალი კულტურის მქონე, ცენტრალიზებული სახელმწიფო... მიგვაჩნია, რომ შექმნილ ვითარებაში, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქართველ ერს თუ სურს აღიდგინოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, უნდა გადადგას ორი გონივრული და ცივილიზებული ნაბიჯი:

1. 30 სექტემბერს აირჩიოს ეროვნული ძალების გაერთიანებული და ერის ნების გამომხატველი, არაიმპერიული სტრუქტურის (არაკონსტრუქციური) ორგანო — საქართველოს ეროვნული კონგრესი, რომელიც არჩევის მეორე დღესვე, საქართველოს გამოაცხადებს კომუნისტური რუსეთის მიერ დაპყრობილ, კოლონიურ ქვეყნად, მასს ე. წ. საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს — კოლონიური თვითმპყრობელობის ორგანოდ, ხოლო დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ე. წ. სსრკ შეიარაღებულ ძალების ნაწილებს — დამპყრობლის ჯარებად და მოითხოვს მათ სრულ და უპირობო გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან. მოკლედ ეროვნული კონგრესი არის ქართველი ერის მიერ დამოუკიდებლობის სურვილის პრაქტიკული გამოხატულება.

2. 28 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობა არ უნდა მივიდეს საარჩევნო ყუთებთან, ამით ქართველი ერი სამართლებრივად უკანონოდ დატოვებს და არ სცნობს იმპერიალისტური ძალების მიერ ოციან წლებში ძალით მოთრეულ და დღემდის არარატიფიცირებულ კანონმდებლობას, რითაც ყველასათვის ნათლად წარმოაჩენს საქართველოში რუსეთის დამპყრობლურ სახეს.

როგორც ვიცით, ექსპერტების სახით ორივე არჩევნებზე დასასწრებად მოწვეულნი არიან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დემოკრატიული ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენელნი და ხელისუფლებას არდახარბებული პოლიტიკოსი ამაზე უკეთეს დროსა და საშუალებას ერის ნების გამოხატვისა და ამ ნების მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის გასაცნობად ვერც კი ინატრებდა. ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება ერისთვის საბედისწერო შეცდომა იქნება.

ასეთი დაუმორჩილებელი „პერესტროიკის“ არმსურველი საქართველოს წინააღმდეგ მოსკოვს არავითარი სამართლებრივი საშუალება არ გააჩნია. ამ შემთხვევაში მოსალოდნელი ეკონომიკური ბლოკადა (ლიტვის უზენაესი საბჭოს მიმართ განხორციელებული ბლოკადისაგან განსხვავებით) დაგმობილი იქნება საერთაშორისო სამართლის მიერ, როგორც გენოციდი დაპყრობილი ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული და რუსეთის იმპერია როგორც აშკარა დამპყრობელი, მალე, გაეროს წესდების, დეკოლონიზაციის შესახებ დეკლარაციისა და საერთოდ მთელი დემოკრატიული სამყაროს (რომლის კეთილგანწყობასაც ეძებს დღევანდელი კრემლი) ზეგავლენით იძულებული გახდება დათანხმდეს საოკუპაციო ჯარების გაყვანისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით ცნობილ საზღვრებში, აგრეთვე იკისროს ზნეობრივი და ნივთიერი პასუხისმგებლობა საქართველოს მრავალწლიანი და განუკითხავი ძარცვის გამო.

დაბოლოს, კვლავ გვინდა მოგიწოდოთ მრავალტანჯული საქართველოს ღირსეულო ძენო და ასულნო!

ჩვენი ერის დამოუკიდებლობის საკითხი წყდება და გწამდეთ, რომ თქვენს სამართლებრივად სწორ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული იგი და კიდევ უკვე ნათქვამთან ერთად გჯეროდეთ, რომ სამშობლოს სიყვარულით ანთებული ჩვენი გულებიდან ამოხეთქილი ცეცხლია ის ძალა, რომელიც მოოქროვილ ჯაჭვს მონობისას გადაადნობს თავისუფალი, დემოკრატიული და ქრისტიანული საქართველოს დამცველ მახვილად.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე ამ მძიმე და სამართლებრივ ბრძოლაში!

**ბურამ ბოგბაიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიციალური პასუხი

# გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელს“

**1990 წლის** 13 სექტემბერს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა მწვანეთა მოძრაობის ხელმძღვანელების ზ. ჟვანიასა და ლ. ჰანტურიას ღია წერილი რესპუბლიკის შინაწყალსატევებში მეთევზეობის განვითარების პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხზე.

წერილში სავსებით სწორად არის ლაპარაკი იმ დიდი როლის შესახებ, რომელიც დარგმა უნდა შეასრულოს რესპუბლიკის მოსახლეობის თევზით მომარაგების საკითხის გადასაჭრელად. მდგომარეობა კი მეტად არასახარბიელოა. წლების განმავლობაში გაერთიანება „საქთევზმრეწვის“ კომბინატი „საქთევზმეურნეობა“ (უფროსი ბ. უთმელიძე) სისტემატურად ვერ ასრულებდა სასაქონლო თევზის წარმოების სახელმწიფო გეგმებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1981-1986 წლებში დარგმა რესპუბლიკის მოსახლეობას დააკლო 4,2 ათას ტონაზე მეტი თევზი ანუ გეგმის 55 პროცენტი (გეგმა კი 7,7 ათასი ტონის მიწოდებას ითვალისწინებდა). ასეთ სამეურნეო მაჩვენებლების პირობებში 1987 წელს კომბინატი „საქთევზმეურნეობა“ საკავშირო დაქვემდებარებიდან გადმოყვანილ იქნა რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში და მის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს თევზის მეურნეობის სამმართველო „საქთევზმეურნეობა“ (უფროსი ბ. უთმელიძე), ხოლო 1988 წლის დეკემბერში აღნიშნულ სამმართველოსა და საქსახაგრომრეწვის მეთევზეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს (უფროსი ა. ცინცაძე) ბაზაზე შეიქმნა საქსახაგრომრეწვის მეთევზეობის რესპუბლიკური საწარმოო სახელმწიფო-კოოპერაციული გაერთიანება „საქთევზმეურნეობა“ (უფროსი ა. ცინცაძე).

მოგვიანებით, 1989 წლის მაისში გაერთიანებაში ჩამოყალიბდა მეთევზეობის, თევზჭერისა და თევზის გადამამუშავებელი საწარმო (დირექტორი ბ. უთმელიძე), რომელიც ფაქტიურად ხელმძღვანელობს შინაწყალსატევებში თევზის მეურნეობის განვითარებას. სამწუხაროდ, მართვის სტრუქტურის ცვლილებებმა დადებითი შედეგი ვერ გამოიღეს. პირიქით, 1989 წელს რესპუბლიკის შიგაწყალსატევებში გეგმით გათვალისწინებული 2000 ტონის ნაცვლად, წარმოებულია მხოლოდ 373 ტონა სასაქონლო თევზი.

გეგმების სისტემატური შეუსრულებლობის, დამხმარე მასალებისა და საკვების არარაციონალური ხარჯვის, არასაწარმოო დანახარჯების ზრდის, დარგისადმი არაკომპეტენტური ხელმძღვანელობის შედეგად აღნიშნულ საწარმოში უმძიმესი ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა.

1989 წლის 1 იანვრისათვის თევზის მეურნეობის სამმართველოს „საქთევზმეურნეობას“ ერიცხებოდა საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისი 5,0 მლნ მანეთი, ზარალი — 4,8 მლნ. მანეთი, კრედიტორული დავალიანება 7,7 მლნ მანეთი. გასული სამეურნეო წელი საწარმომ 3,7 მლნ მანეთი ზარალით დაამთავრა, დააკლდა 4,8 მლნ მანეთი საბრუნავი სახსრები, კრედიტორული დავალიანება ჰქონდა 4,4 მლნ მანეთი, საკავშირო თევზის მეურნეობის სამინისტროს ვალი — 4,7 მლნ მანეთი.

ამასთან, რესპუბლიკაში არსებული მდინარეების, ტბების, წყალსატევებისა და ხელოვნური წყალსაცავების საერთო ფართობის ნახევარიც კი არ არის გამოყენებული თევზის მეურნეობის დანიშნულებისათვის. თითქმის გადაშენდა ან გადაშენების პირასაა მისული თევზის უნიკალური ჯიშები: ატლანტიკური ზუთხი, შავი ზღვის ორაგული, კალმახი, ფარავნის კობრი, ხრამული, წვერა და სხვა, ჩაშლილია თავზსაშენი მეურნეობების მუშაობა. ნახევრადაც არ ფუნქციონირებს ფარავნის, ტაბაწყურის, ხრამის, ტყიბულის, ჯაპანის, ნოქალაქევისა და კონდოლის თევზსაშენი ქარხნები.

წლების მანძილზე თევზის ჩასასმელი მასალის პრობლემა წყდებოდა რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოყვანილი მასალის ხარჯზე, რაც ეკონომიკურად სავსებით გაუმართლებელია, ამასთან, ეს პრაქტიკა ტბებსა და წყალსაცავებში ინფექციური დაავადებების გავრცელების მიზეზი გახდა, რის შედეგადაც ფარავნისა და კუმისის ტბებში, ხრამის, ტყიბულისა და შაორის წყალსაცავებში მნიშვნელოვნად შემცირდა თევზის პროდუქტიულობა, თითქმის განადგურდა მათი სამრეწველო მარაგი. გასულ წლებში მარტო ფარავნისა და კუმისის ტბები იძლეოდნენ 350-380 ტონა სასაქონლო თევზს ე. ი. თითქმის იმდენს, რაც მთლიანად 1989 წელს აწარმოა მეთევზეობის, თევზჭერისა და თევზის გადამამუშავებელმა საწარმომ.

რაც შეეხება შენიშვნებს.

წერილში აღნიშნულია, რომ მეთევზეობის, თევზჭერისა და თევზის გადამამუშავებელი საწარმოს ინიციატივით შეიქმნა საქართველოს მეთევზეობის სამეცნიერო-საწარმოო კონცერნი „საქთევზმეურნეობა“, ხოლო ბიუროკრატიული აპარატის ზეწოლით და გავლენით არ ხდება მისი წესდების რეგისტრაცია.

დარგში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ 1990 წლის 9 იანვარს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დაემუშავებინა და მთავრობისათვის წარმოედგინა წინადადება თევზის მეურნეობის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებისა და მეთევზეობის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ.

დავალების თანახმად, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1990 წლის 20 ივლისს წარმოადგინა დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკის შიგაწყალსაცავების ორგანიზაციულ სტრუქტურაში არსებული რესპუბლიკური და საშუალო რგოლების, აგრეთვე ზარალიანი საწარმოების ლიკვიდაციას. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ თევზის მომშენებელ თევზჭერის, თევზის გადამამუშავებელ და დარგთან დაკავშირებულ სხვა შრომით კოლექტივებს მიეცემათ დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი; თითოეული ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიაზე შეიქმნება სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმო, რომელშიც ნებაყოფლობით შევლენ ამ ტერიტორიაზე არსებული თევზის მეურნეობები, ხოლო მათი მუშაობის კოორდინაციის მიზნით რეკომენდებულია ჩამოყალიბდეს საქართველოს თევზის მეურნეობის კონცერნი „საქთევზმეურნეობა“.

რესპუბლიკის დირექტიული ორგანოების დავალებით სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ აღნიშნული პროექტის მომზადების პროცესში ბ. უთმელიძემ და ა. ცინცაძემ ცალ-ცალკე ჩაატარეს დამფუძნებელი კრებები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინეს კონცერნების წესდებები რეგისტრაციაში გასატარებლად.

ამდენად, მთავრობაში ერთდროულად აღმოჩნდა თევზის მეურნეობაში კონცერნის შექმნის სამი ვარიანტი.

ასეთ ვითარებაში მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შეეჯერებინა პროექტები და ერთი კვირის ვადაში წარმოედგინა შეთანხმებული დასკვნა.

დასკვნა კი შემდეგია:

ვინაიდან მეთევზეობის, თევზჭერისა და თევზის გადამამუშავებელი საწარმო მართვის საშუალედო საფეხურს წარმოადგენს და მასში შემავალი ძირეული რგოლები არ არიან იურიდიული პირები, ისინი მოკლებული არიან კონცერნებში გაერთიანების უფლებას (ჭეშმარიტად: არათავისუფალს არ შეუძლია თავისუფალი გადაწყვეტილების მიღება). აქედან გამომდინარე მათ ბაზაზე შექმნილი კონცერნი არ შეიძლება ჩაითვალოს უფლებამოსილად. ანალოგიური შეცდომებია დაშვებული აგრეთვე სახელმწიფო კოოპერაციულ გაერთიანება „საქთევზმეურნეობის“ მიერ.

აღნიშნული საწარმოების ხელმძღვანელებს ბ. უთმელიძეს და ა. ცინცაძეს განემარტათ შექმნილი მდგომარეობა და მათ მიერ წარმოდგენილი კონცერნების წესდებების რეგისტრაციაში გატარების შეუძლებლობა, ვიდრე რესპუბლიკის მთავრობა არ მიიღებდა ზემოაღნიშნულ დადგენილებას თევზის მეურნეობის კოლექტივებისათვის დამოუკიდებელი სტატუსის მინიჭების შესახებ, რითაც მათ გზა ეხსნებათ თავიანთი სურვილით და ეკონომიკური მიზანშეწონილობის მიხედვით გაერთიანდნენ კონცერნებში, ასოციაციებში და ა. შ.

ზემოაღნიშნულის გამო სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერ დავაკმაყოფილებთ ღია წერილის ავტორების მოთხოვნასაც — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უახლოეს დროში მოახდინოს მეთევზეობის, თევზჭერისა და თევზის გადამამუშავებელი საწარმოს ინიციატივით შექმნილი საქართველოს მეთევზეობის სამეცნიერო-საწარმოო კონცერნის „საქთევზმეურნეობის“ წესდების რეგისტრაცია“.

რაც შეეხება წერილში მოტანილ 1989 წელს შექმნილი ასოციაციის დაშლის საკითხს. ასოციაციის წესდება არ იქნა რეგისტრირებული არა მონოპოლიზმის შენარჩუნების მიზნით, არამედ მისი შექმნის პროცესში დაშვებული რიგი დარღვევების გამო.

ამდენად, არც მინისტრთა საბჭო და არც მისი დარგობრივი განყოფილებები ეკონომიკაში მონოპოლიზმის პრინციპებს არ იცავენ. პირიქით, მიაჩნიათ, რომ არა მარტო მეთევზეობაში, არამედ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საჭიროა შეიქმნას ასოციაციები, კონცერნები და სხვა ნებაყოფლობითი კავშირები. ამის დასტურია ისიც, რომ ასეთი კავშირები შეიქმნა და იქმნება აგროსამრეწველო კომპლექსის გადამამუშავებელი მრეწველობის თითქმის ყველა დარგში.

წინააღმდეგი ვართ მხოლოდ ამ მიმართულებით მოუფიქრებელი და აჩქარებული ნაბიჯების გადადგმისა, რომელთაც შეუძლიათ შეაფერხონ დარგში არსებული უმძიმესი მდგომარეობის გამოსწორება.

დაბოლოს, ვფიქრობთ, რომ წერილი აგებულია მცდარ ტენდენციურ მასალებზე. შეცდომაშია შეყვანილი როგორც მწვანეთა მოძრაობა, ისე „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქცია.

გვრჩება ერთი სურვილი: შემდგომში, ბატონო ზურაბ და ბატონო ლადო, ვიდრე ვინმეს ბრალდებას წაუყენებთ და პასუხსაც მოსთხოვთ, გადაამოწმოთ ფაქტები და ინფორმატორის კეთილსინდისიერება. ალბათ არც რედაქციამ უნდა გამოაქვეყნოს შეუმოწმებელი მასალები.

**ჯ. კვარაცხელია,**
**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე.**

**21. 09. 90.**

**პასუხს თან ერთვის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის გ. შანიძის, სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლ. ღურწკაიასა და მოადგილის თ. კუნჭულიას მოხსენებითი ბარათები. მათი დაბეჭდვის საშუალება რედაქციას არ ჰქონდა.**

ოფიციალური პასუხი

# კრიმინალური ქრონიკა

სოხუმის საზღვაო პორტში ქ. ოდესის მცხოვრებმა ნ. ვ-მა გამოიყენა მომწამვლელი გაზი „სი-ეს 5000“ თბილისელ მ. ც-შვილის დაბ. 1971 წ. წინააღმდეგ.

●

თბილისში დააკავეს ბ. დ-შვილი (დაბ. 1965.), ინჟინერი და ს. ბ. (დაბ. 1963 წ.). მათ აღმოაჩნდათ 1,6 კგ. მარიხუანა.

●

სამტრედიაში ადრე ნასამართლევ ვ. ი-ს (დაბ. 1956 წ.) ჩამოართვეს უცხოური მარკის უნომრო „ნაგანი“ საბრძოლო ვაზნებით.

●

ცხინვალის რაიონში, სოფ. თამარაშენის ერთსართულიანი რესტორნის შენობაში გაჩნდა ხანძარი. შენობა მთლიანად დაიწვა. წინასწარი მონაცემებით, ზარალი 15 000 მანეთამდეა.

●

თბილისის ერთ-ერთ შემნახველ ბანკში დამნაშავემ დანის მუქარით მოითხოვა მისთვის 20 000 მანეთი გადაეცათ. დააკავეს ადრე ნასამართლევი დ. გ-ძე (დაბ. 1963 წ.)

●

ფოთის პროკურატურას მიმართეს ნ. დ-მ (დაბ. 1962.) და ნ. კ-მ (დაბ. 1958 წ.) განცხადებით, რომ დაუდგენელმა დამნაშავემ ისინი სანაპიროზე გააუპატიურა და 1400 მანეთი წაართვა. ეჭვმიტანილი — ადრე ნასამართლევი ბ. ჯ. (დაბ. 1956 წ.) მიიმალა.

●

ფოთში, ტრიკოტაჟის ფაბრიკის ტერიტორიიდან ა. გ-მ (დაბ. 1967 წ.) და კ. ც-მ (დაბ. 1973 წ.) გაიტაცეს ავტობუსი. ამასთან მათ საწყობიდან მოიპარეს ა-76 მარკის 400 ლიტრი ბენზინი.

●

გაგრაში, დასასვენებელი სახლის — „მზიურისაკენ“ ფეხით მიმავალ დამსვენებლებს პისტოლეტისა და დანის მუქარით ოთხმა დამნაშავემ წაართვა 2 500 მანეთი და სხვა ნივთები. ისინი აღმოჩნდნენ ზუგდიდელები მ. ბ-ძე (დაბ. 1967) და მ. შ-ა (დაბ. 1963 წ.), გაგრელი ხ. შ-შვილი (დაბ. 1974 წ.) შეიარაღებული მეოთხე დამნაშავე მიიმალა.

●

ოზურგეთის რაიონში, ციტრუსების პლანტაციის ტერიტორიაზე თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე რ. კ-შვილმა (დაბ. 1945 წ.), ამავე რაიონში მცხოვრებმა, კოლმეურნემ.

●

თბილისში, კეკელიძის ქუჩაზე აღმოჩენილია თბილისელი ი. ვ-ს გვამი (დაბ. 1979 წელს), რომელსაც გარეგნული დათვალიერებით ძალადობით სიკვდილის ნიშნები არა აქვს.

●

ზუგდიდში, ენგურკომბინატის მუშის ფ. შ-ს ბინიდან დაუდგენელი ვინაობის დამნაშავემ მოიპარა 27 000 მანეთი, ვიდეომაგნიტოფონი, იმპორტული წარმოების ტელევიზორი, ძვირფასეულობა.

# სანამ პისტოლეტი გაისროდეს

**ალბათ,** ბევრს ახსოვს ანტონ ჩეხოვის ფრთიანი გამოთქმა — კედელზე თუ დამბაჩა ჰკიდია, იგი მესამე მოქმედებაში მაინც უნდა გავარდესო. ეს პიესის დროს. ცხოვრებაში კი ეს უფრო იოლად ხდება — იარაღი პირველსავე შემთხვევაში ისვრის, მით უმეტეს, თუკი იგი მოძალადის ხელშია.

მოძალადეთა და მათთან, თავის დასაცავად რომ უნდათ, იმ ადამიანთა ხელში დღეს დიდძალი იარაღია. იგი თავს ხშირად გვახსენებს. წელს რვა თვეში 191 კაცი მოკლეს საქართველოში. მათი დიდი ნაწილი ცეცხლსასროლი იარაღის მსხვერპლი გახდა. დღე არ გავა, რომ არ მოხდეს ძარცვა და ყაჩაღობა იარაღის გამოყენებით ან მუქარით.

ამ ბოლო ხანს ეროვნულ მოძრაობაში მომხდარმა განხეთქილებამ, პარტიებს შორის დაპირისპირებამ და ერთმანეთთან ფიზიკურმა ანგარიშსწორებამ, ახალი დარდი გაუჩინა საქართველოს მოსახლეობას.

არაფორმალურ სამხედრო დაჯგუფებების იარაღი, ძმათამკვლელი ომის გასაჩაღებლად არ იქნეს გამოყენებულიო.

შინაგან საქმეთა ორგანოებს სწორედ ამიტომა აქვს უპირველეს საზრუნავად უნებართვო იარაღის ამოღება. გამოვიდა პრეზიდენტის ბრძანებულებაც ამის თაობაზე, მაგრამ მისი სავალდებულო განხორციელება რესპუბლიკის უზენაესმა საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს პარლამენტის არჩევნებამდე შეაჩერა. მიზეზი გასაგებია. იარაღის ჩამორთმევის ორგანიზებულ აქციას შეიძლება გართულება მოჰყვეს, რაც უთუოდ დაძაბავდა წინასაარჩევნო სიტუაციას.

ახლა ნებაყოფლობით აბარებენ იარაღს, რომ ვთქვათ დიდი რაოდენობითო, არ ვიქნებით მართალნი. 17 სექტემბერს მილიციას ქუჩაში ნაპოვნი გადაჭრილი სანადირო თოფი ჩააბარა სამტრედიელმა მოქალაქემ. რამოდენიმე კაცმა ჩააბარა სანადირო თოფი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. 26 სექტემბერს საბურთალოს მილიციის განყოფილებაში უცხოური მარკის პისტოლეტი ჩააბარა ქ. თბილისში, მოსკოვის პროსპექტის მე-4 კვარტალის, მე-4 კორპუსში მცხოვრებმა თეიმურაზ ვახტანგის ძე ელისაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნული პისტოლეტი იპოვა თავის სახლის მახლობლად. ეს არის და ეს.

მაგრამ შინაგან საქმეთა ორგანოებმა უკვე ამოიღეს 67 პისტოლეტი და რევოლვერი, 1 ავტომატი, 1 ტყვიამფრქვევი, 11 მცირეკალიბრიანი შაშხანა, 200 სანადირო თოფი, 10 ყუმბარა, 9 თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, 10 ათას ერთეულზე მეტი საბრძოლო მასალა.

იარაღის ეს რაოდენობა, თურმე ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ფაქტობრივად მოსახლეობაშია. ამას თვითონ მილიციის მუშაკები ამბობენ. კერძოდ, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის დაბრუნებული შარშან ზაფხულში შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებებიდან გატაცებული ტაბელური იარაღი.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, მილიციის მუშაკების ენერგიული მოქმედების შედეგად, ხდება დამნაშავე ელემენტების ხელში მოხვედრილი ამ იარაღის ამოღება. მაგალითად, ჭიათურაში მოქალაქის ბინის გაჩხრეკის დროს დაკავებულ ხვიჩა დვალიშვილს ჩამოართვეს მილიციის განყოფილებაზე მომხდარი თავდასხმისას გატაცებული ტტ-ს ტიპის პისტოლეტი.

ხშირია შემთხვევა, როცა იარაღის გატანას ცდილობენ საქართველოს გავლით. საქართველოს მილიციელები აქაც ფხიზლობენ. 16 სექტემბერს გაგრის სახაზო მილიციამ მოსკოვ-ერევნის მატარებელში დააკავა სომხეთის აშტარაკის რაიონის მცხოვრები რაფიკ პაპიკიანი, რომელსაც ჩამოართვეს „მაკაროვის“ მარკის პისტოლეტი, რვა საბრძოლო ტყვიით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გაფართოებულ კოლეგიაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობას, მილიციის თითოეულ მუშაკს მიეცა კატეგორიული დავალება, გადამჭრელი ზომები მიიღონ უნებართვო იარაღის ამოსაღებად, ჩამოართვან იგი ყველას, განურჩევლად იმისა, თუ რომელ ორგანიზაციას ან მიმდინარეობას ეკუთვნის ესა თუ ის პირი.

იარაღის ამოღება გრძელდება.

**გიორგი ფანჩულიძე,**
**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრიობასთან და ინფორმაციის საშუალებებთან მუშაობის განყოფილების ინსპექტორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

# შეთანხმებული მოქმედება—გზა თავისუფლებისაკენ

[illegible] სესიაზე მიღებული საარჩევნო კანონი გვაძლევს საშუალებას, ავირჩიოთ **ოფიციალური არასაბჭოური ხელისუფლების ორგანო.**

როგორც უკვე ითქვა, განსაკუთრებით სამწუხაროა ის გარემოება, რომ ზემოთქმულის ინიციატორებად გვევლინება ეროვნული მოძრაობის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების ერთი ნაწილი. ფაქტია, რომ საარჩევნო კანონის მიღებულ ვარიანტში „ხარვეზი" **გამოურებული II ვარიანტიდან „შეპარა".**

შთაბეჭდილებას კიდევ უფრო „აძლიერებს" ყოველივე თქმულის „ქვემოდან ზეწოლით" განხორციელება და საზოგადოების გარკვეულ, არც თუ უმნიშვნელო ნაწილში ბრძოლით მოპოვებულის ტკბობით გამოწვეული კმაყოფილების განცდა.

ჩვენში არც თუ იშვიათად გაიგონებთ გამოთქმას — „პოლიტიკა ბინძური თამაშიაო".

ეს საბჭოთა იმპერიის და სხვა „ძლიერთა ამა, ქვეყნისათა" პოლიტიკურ „თამაშობაზე" დაკვირვებების მექანიკური განზოგადების შედეგია უთუოდ. მხოლოდ „ძლიერნი" თუ მისცემენ თავს უფლებას „ბინძურად ითამაშონ", რადგან ყოველთვის შესწევთ ძალა იმისა, რომ მზე დაუბნელონ ყველას, ვისაც გაუფრთხილებლობით თუ გულუბრყვილობით უნებლიეთ წამოსცდება — „პუპუი, პუპუი დავინახეო"!

საქართველოს, ქართული ეროვნული მოძრაობა „ბინძურად ვერ ითამაშებს" და ვერც „იბლეფებს" ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძალა (წმინდა ფიზიკური თვალსაზრისით) არ გააჩნია და უფრო ღონიერი მეტოქე საჭიროების შემთხვევაში მის ყველა ლაქას საქვეყნოდ გამოამზეურებს სამარცხვინოდ;

მეორე — იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა, სამწუხაროდ, მხოლოდ და მხოლოდ, ობიექტია საერთაშორისო არენაზე და ჯერჯერობით თამაშს მიმართულებას ვერ აძლევს, — მისით თამაშობენ!

მესამე — რაც უმთავრესია, „ბინძური თამაში" უხნეო ხერხების გამოყენებას ნიშნავს და არ უნდა დაგვავიწყდეს მარტივი ჭეშმარიტება: უხნეო გზებითა და მეთოდებით კეთილი საქმეები არავის უქმნია.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ 28 ოქტომბრის არჩევნები თავისი ფორმით მაქსიმალურად დემოკრატიული იქნება, რაც საკმარისი პირობაა იმისა, რომ მისი ძალით, იურიდიულად **საქართველოში დაკანონდეს საბჭოთა ხელისუფლება.**

გაკვირვებას იწვევს „ოფიციალური, არასაბჭოურის" მიმართ უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე გაერთიანებების „ოთხთა კავშირისა" (ამბობენ, რომ ამ ბლოკში გაერთიანებულ ორგანიზაციათა რიცხვი გაორმაგდა) და „დემოკრატიული საქართველოს" პასიური პოზიცია. მთელი რიგი პუბლიკაციებიდან აშკარად ჩანს, რომ ამ გაერთიანებათა წევრები მომავალ არჩევით ორგანოს რეალურად ოკუპირებული ქვეყნის თვითმმართველობად მიიჩნევენ და ამომრჩევლებს პირდებიან, რომ არჩევის შემთხვევაში პირველივე სესიაზე დააყენებენ საკითხს მისი სტატუსის გადასინჯვის თაობაზე. თუ ხსენებული საარჩევნო ბლოკების პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით მტკიცეა, მაშინ, ბუნებრივია, მათ არჩევნებამდე პერიოდშიც არ უნდა დააკლონ მცდელობა, რომ საარჩევნო კანონი შესაბამისობაში მოვიდეს რეალობასთან. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მათ ამ ბრძოლაში მხარში ამოუდგება საკოორდინაციო ცენტრის რადიკალური ფრთაც.

იმის გამო, რომ „ოფიციალური, არასაბჭოური" „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური კონცეფციიდან იღებს დასაბამს, ბუნებრივია, ამ ალიანსის ორგანიზაციები მხარს არ დაუჭერენ ახლად არჩეული „პარლამენტისათვის" სტატუსის შეცვლის მოთხოვნას. არ არის ძნელი იმის მიხვედრაც, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით არც კომუნისტები წარმოიჩნდებიან რეფორმატორთა როლში. ძალთა თანაფარდობას თუ დღევანდელობის მიხედვით შევაფასებთ, ვფიქრობ, ამ პოზიციის მხარდამჭერთა ჯამური რაოდენობა 125-ს ბევრად გადააჭარბებს.

ამიტომ, „ოთხთა კავშირმა" და „დემოკრატიულმა საქართველომ", ჩემი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა დააყენონ საკითხი არსებული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ კიდევ ერთი რიგგარეშე სესიის მოწვევის თაობაზე, რომელზეც შეფასება მიეცემა საქართველოში არსებულ რეალურ პოლიტიკურ ვითარებას, ანუ რომელზეც საქართველოს განესაზღვრება ოკუპირებული, ანექსირებული და უცხო ქვეყნის შეიარაღებული აგრესიის ქვეშ მყოფი ქვეყნის სტატუსი.

ასეთი შინაარსის დადგენილების მიღება უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენაა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო სამართლის ობიექტიდან საერთაშორისო სამართალსუბიექტად გადააქცევს. ჩემი მსჯელობისათვის საფუძვლის გამაგრების მიზნით ჩემს პოლიტიკურ ოპონენტს (ეროვნული კონგრესის იდეისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით), ბატონ აკაკი ბაქრაძეს დავიმოწმებ:

„სსრკ არ არის იმპერია. იგი ბევრად უფრო რთული მოვლენაა. იმპერია რომ ყოფილიყო, რა გვიჭირდა. როცა გაერომ დეკოლონიზაციის გადაწყვეტილება მიიღო, გასათავისუფლებელ ქვეყანათა სიაში საქართველოც მოხვდებოდა. ახლა კარგა ხნის თავისუფალი ქვეყანა იქნებოდა. მაგრამ უბედურება ის არის რომ მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი არცერთ სამართლებრივ ნორმაში არ თავსდება — არც კოლონიურში და არც თავისუფალში. ამიტომ აგვიარა გვერდი დეკოლონიზაციის პროცესმა.

ასეთი თვალთმაქცური სისტემა იმიტომ იყო შექმნილი, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს სამართლებრივი უფლება და საშუალება არ ჰქონოდათ თავისუფლების მოპოვებისა". („მამული", № 14, ივლისი, 1990 წ.).

თუ მკითხველი ჩემს მსჯელობას ბატონი აკაკის მოსაზრებებთან შეაჯერებს, უთუოდ იმ დასკვნამდე მივა, რომ არსებულმა უზენაესმა საბჭომ დაუყოვნებლივ უნდა განუსაზღვროს საქართველოს რეალური პოლიტიკური ვითარების შესაბამისი სტატუსი და გამოაცხადოს არჩევნები თვითმმართველობის ორგანოში, საოკუპაციო რეჟიმის ადმინისტრაციაში, ხოლო ერის ნების გამომხატველ ერთადერთ ორგანოდ უნდა დარჩეს **30 სექტემბერს საყოველთაო, პირდაპირი, ფარული კენჭისყრით არჩეული ეროვნული კონგრესი!**

„ოფიციალური, არასაბჭოური ხელისუფლების ორგანოს" არჩევა ლოგიკურად, ე. ი. იმ შემთხვევაში, თუკი ის საკუთარ სახელს ამართლებს, ხსნის (მოხსნა) ეროვნული კონგრესის არჩევის აუცილებლობას. ამის გამო, მიმაჩნია, რომ 18 აგვისტოს მიღებული საარჩევნო კანონი და ყველა ის შიმშილობა, გაფიცვა, პიკეტი თუ მიტინგი, რომელიც წინ უძღოდა და ამზადებდა ხსენებული აქტის განხორციელებას, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული კონგრესის იდეის წინააღმდეგ არის მიმართული.

აქვე, აუცილებელია კიდევ ერთხელ განიმარტოს, რომ საბჭოთა კავშირის ფარგლებში, ე. ი. ტერიტორიაზე, რომელზეც საბჭოთა არმიის ძალაზე დაყრდნობით განმგებლობას ახორციელებს სსრკ ხელისუფლება, „ოფიციალური, არასაბჭოური ხელისუფლების ორგანო" არ შეიძლება არსებობდეს.

(წერილი უკვე რედაქციაში მოსატანად მქონდა მზად, როცა გაზეთ „თბილისში" (1 სექტემბერი) დაიბეჭდა ირინა სარიშვილის წერილი „ეროვნული კონგრესი — — გზა დამოუკიდებლობისაკენ", სადაც დამაჯერებლადაა ახსნილი ეროვნული კონგრესის დანიშნულება და მისი მნიშვნელობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით დასრულების საქმეში. ამიტომ ჩემი წერილიდან მთლიანად ამოვიღე აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი ნაწილი. კონგრესის იდეის არსში ჯერაც გაურკვეველ მკითხველს ვთხოვ წაიკითხოს ქალბატონი ირინას, აგრეთვე თემურ ფიფიასა („თბილისი", 17 ივლისი) და ირაკლი ბათიაშვილის („ახალგაზრდა ივერიელი", 1 სექტემბერი) წერილები).

წარმოდგენილ წერილში შევეცდები გავაბათილო ეროვნული კონგრესის იდეის მოწინააღმდეგეთა ზოგიერთი ძირითადი არგუმენტი:

1. ბევრს მიაჩნია, რომ ორი არჩევითი ორგანოს პარალელურად არსებობა კრემლს საშუალებას მისცემს მიიღოს მკაცრი სანქციები და ამ გზით ჩაახშოს ეროვნული მოძრაობა.

ცნობილია, რომ საერთაშორისო სამართალი არ კრძალავს ერთ ქვეყანაში ორი არჩევითი ორგანოს არსებობას. ხოლო, მოგეხსენებათ, საყოველთაოდ, (მათ შორის სსრკ-შიც) აღიარებული დებულების თანახმად, ის რაც არ არის აკრძალული — ნებადართულია. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ეროვნულ კონგრესსა და უზენაეს საბჭოს შორის, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების თვალსაზრისით, არ ხდება ზედდება, გადაფარვა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვა, ეროვნულ კონგრესს არა აქვს პრეტენზია ხელისუფლებაზე.

აღნიშნული მიზეზების გამო, ცენტრალურ ხელისუფლებას არ გააჩნია არანაირი იურიდიული საფუძველი, მიმართოს მკაცრ ზომებს ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ.

2. ხშირად გამოითქმება ვარაუდი, რომ ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობით არჩევის შემთხვევაში ეროვნული კონგრესი, მასში მოხვედრილი შეურიგებელ ოპოზიციად წოდებული ნაწილის წარმომადგენელთა გავლენით, ეცდება ჩაშალოს უზენაესი საბჭოს არჩევნები და მოახდინოს ხელისუფლების უზურპაცია.

მინდა დავამშვიდო ჩვენი ოპონენტები: მსგავსი რამ არ მოხდება, შეუძლებელია მოხდეს, ორი მიზეზის გამო, რომელთაგან თითოეული ცალ-ცალკე საკმარისი პირობაა, გარანტიაა იმისა, რომ ეროვნულმა კონგრესმა ხელში არ (ან ვერ) ჩაიგდოს ხელისუფლება:

I. უმთავრესი მიზეზი გახლავთ ის, რომ რეალურ ხელისუფლებას წარმოადგენს კრემლი;

II. უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩაშლის შემთხვევაში, არსებული კანონის საფუძველზე, „რესპუბლიკის ხელისუფლების" ორგანო ძველი შემადგენლობით განაგრძობს ფუნქციონირებას.

ჩემი არგუმენტები მკითხველმა, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გაიგოს, თითქოს დაპირისპირება ეროვნულ კონგრესსა და უზენაეს საბჭოს შორის გამორიცხულია. პირიქით, დაპირისპირება კონგრესის არჩევის შემდეგ გაცილებით ორგანიზებული და აქედან გამომდინარე, გაცილებით ძლიერი იქნება. აქ მთავარია იმის გარკვევა, თუ რა შემთხვევაშია მოსალოდნელი ზემოქმედების მექანიზმების ჩართვა.

ეროვნული მოძრაობის წარმმართველი ორგანო ზეწოლას მოახდენს იმ შემთხვევაში, როცა უზენაესი საბჭოს რაიმე ქმედება შეფასდება კრემლის გავლენის შედეგად განხორციელებულ იძულებით აქტად. ე. ი. ფაქტიურად დაპირისპირება ყველა შემთხვევაში მოხდება ოკუპანტთან, რაც ეროვნული კონგრესის, როგორც ერის ნების გამომხატველი ორგანოსა და ადგილობრივი უზენაესი საბჭოს, როგორც კოლონიური თვითმმართველობის ორგანოს შეთანხმებული მოქმედების შემთხვევაში მაქსიმალურად შედეგიანი იქნება ეროვნული მოძრაობისათვის.

**გიორგი კოჩახიძე**

## საქართველოს უზენაესი საბჭოს [illegible] ამომრჩეველს

[illegible] რაც იგივეა, [illegible] უნდა იყოს რუსეთის იმპერიის კოლონია.

არჩევანი თითქოს ნათელია!

არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია ამ ნათელი არჩევანის ხორცშესხმას ჰპირდება ხალხს.

ვის დავუჯეროთ? ვის მივცეთ ხმა?

კომუნისტებს? მათ ხომ თვით არა სწამთ „კომუნიზმი", ან, თუ ვინმეს სწამს მათგან, ის ხომ ყველაზე მეტადაა აბუჩად აგდებული საკუთარი ფუნქციონერების მიერ?

კომუნისტები ხომ თვით აღიარებენ, რომ რუსეთის იმპერიაში 1917 წლის შემდეგ დატრიალებულ უბედურებათა „შემოქმედი" მათი პარტია იყო.

იქნებ ვინმეს სჯერა ქართველი კომუნისტების დადგომისა ეროვნულ პლატფორმაზე? მათ ხომ ისევ გარედან მართავენ? აქაური კომუნისტების ლიდერები ხომ ადმინისტრაციულად ექვემდებარებიან „იქაურ" მმართველებს. აქედან [illegible] ნავს ეს ბრძოლა არსებული, მათ მიერვე დამყაყებულად აღიარებული, მდგომარეობის შესანარჩუნებლად?

ან იქნებ ამ მდგომარეობიდან მათი ხელმძღვანელობით გამოსვლისა სჯერა ვინმეს? რა ფასი აქვს მათ „ეკონომიკურ პროგრამებს" და „ეკონომიკური განვითარების კონცეფციებს?" რამდენი მსგავსი დაპირება, მჟღერალა პროგრამა და კამპანია ჰქონდათ მათ დღემდე? შესრულდა კი რომელიმე? ეს მათ მიიყვანეს უზარმაზარი ბუნებრივი რესურსების მქონე დედამიწის მეექვსედი სრულ ეკონომიკურ გაპარტახებამდე. ამას ხომ თვითვე აღიარებენ.

ხალხი უპირველესად უნდა შემოსო, გამოკვებო, დააბინავო, ან საშუალება მისცე, თვით მიხედოს თავის თავს. კომუნისტურ-იმპერიულ-კოლონიურმა მმართველობამ კი ყველაფერი პირიქით გააკეთა.

ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, აღიარეს რა თავისი არაკეთილსაიმედობა, ისინი უნდა გადამდგარიყვნენ. აკეთებენ კი საწინააღმდეგოს — გააფთრებით იბრძვიან ძალაუფლებისათვის.

არადა, ბევრი ხმის მოპოვების იმედი აქვთ კომუნისტებს. გარდა პრესისა და ინფორმაციის სხვა უზარმაზარი საშუალებებისა, მათ ხელთაა დიდი ადმინისტრაციული უპირატესობაც. ჯერ კიდევ ფუნქციონირებენ რაიკომები, მსხვილი პარტორგანიზაციები თავისი „განთავისუფლებული მდივნებით". ახლაც ხომ ბევრი კომუნისტი ფუნქციონერი შეიყვანეს საოლქო საარჩევნო კომისიებში!

კომუნისტები ფაქტიურად ბლოკსაც ჰკრავენ ათასი ჯურის ნეოკომუნისტებთან. კომუნისტურმა (დიახაც კომუნისტურმა, არადეპოლიტიზირებულმა) უზენაესმა სასამართლომ რატომ დაუშვა არჩევნებზე ორგანიზაცია „სტალინი?" ის ხომ მართლაც ბოლშევიზმის ნაირსახეობაა. რატომ არ დაარქვეს ნათლიებმა მას „ლენინ-სტალინი" ან „მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინი"? ხომ ადვილი მისახვედრია, რაზეც სპეკულირებენ ისინი ქართველთა გარკვეულ ნაწილში? განა ნათელი არ არის, ვის მხარეზე დადგება პარლამენტში მოხვედრილი „სტალინელი", როცა საქმე საქმეზე მიდგება? განა იმავე მხარეს არ აღმოჩნდებიან ვითომ ოპოზიციური, ამასთან თავისთავის არავის მიმართ ოპოზიციურად გამოცხადებული „თანხმობისა და აღორძინების კავშირიდან" გადეპუტატებული პიროვნებები, რომლებიც ადრე იქნებ არც თანაუგრძნობდნენ ეროვნულ მოძრაობას და რომელთაც კომუნისტებისაგან ბოძებული პრივილეგიები და ჯინჯილები არ აკლიათ? ამ კავშირის ბევრმა წევრმა ხომ ვითომ დატოვა კომპარტია, სინამდვილეში კი მხოლოდ „შეაჩერა" თავისი წევრობა კომპარტიაში.

მართალია არჩევნები მრავალპარტიულია, მაგრამ ჯერ შორსა ვართ ნამდვილი დემოკრატიულობისაგან, რადგან პარტიები და ბლოკები ფაქტიურად უთანაბრო პირობებშია. ამას ისიც ემატება, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა დღეს ვერ არის ერთიანი, რაშიც, ჩვენი აზრით, ლომის წილი უძევს კომუნისტურ ხელისუფლებას და უპირველესად მის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს.

ყველამ ყურად ვიღოთ რუსთაველის საზოგადოების მოწოდება: „არჩევნებში ეროვნული მოძრაობა უნდა გამოვიდეს ერთ მუშტად შეკრული, როგორც ერთი მონოლითი, ერთი ბლოკი, და დაუპირისპირდეს მეორეს — კომუნისტურ ბლოკს!... თანხმობის მისაღწევად არ გამოდგება თანხმობისა და ერთობის სახელით შექმნილი ახალი საზოგადოებები. ისინი მხოლოდ აღრმავებენ განხეთქილებას. უნდა შეიქმნას არა კიდევ ერთი, არამედ ერთადერთი გაერთიანება — მთელი ეროვნული მოძრაობა იქცეს ერთ სხეულად და სულად!"

მოვუწოდებთ საქართველოს მოსახლეობას: კიდეც რომ ვერ მოხერხდეს არჩევნებამდე პროგრესული ეროვნული ძალების გაერთიანება, ჩვენ მაინც, თითოეულმა ჩვენთაგანმა, გამოვიჩინოთ სიფხიზლე; ყველა მივიდეთ საარჩევნო ყუთებთან და ხმა მივცეთ იმ პარტიებს ან ბლოკებს, რომლებიც უპირისპირდებიან კომუნისტებს და სხვა კონსერვატულ ძალებს. დარწმუნებული ვართ, რომ ასე არჩეული დეპუტატები ახალ პარლამენტში აუცილებლად გაერთიანდებიან საქართველოს საკეთილდღეოდ!

ხელიდან ნუ გავუშვებთ ის[illegible]რიულ შანსს. ყველამ შევიტ[illegible] წვლილი თავისუფალი და დე[illegible]რატიული საქართველოს შექმ[illegible]

**საქართველოს უზენაესი საბჭოს ამომრჩევლები, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები: ოთარ ცხადაძე, კარლო ქვანია, გიორგი ახალაია, თამაზ კალაძე და სხვ. სულ 22 ხელმოწერა.**

# პასუხი

ა/წ 25 სექტემბერს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" დაიბეჭდა ე. წ. საქართველოს ეროვნული კონგრესის ცენტრალური საარჩევნო კომისიის „განცხადება", რომელიც თავისი ცინიზმით ოცდაათიან წლებში არსებული „ტროიკა[illegible]," საბრალდებო დასკვნას უფრო ჰგავს, ვიდრე განცხადებას და თავისთავად პასუხი არც კი საჭიროებს იმდენად, რამდენადაც განაჩენიც იქვეა გამოტანილი. თითქოს ისღა დამრჩენია, რომ მოთმინებით ველოდო მის ასრულებას, მაგრამ თემიდად მოვლენილი „საარჩევნო კომისია" ჩემს მიმართ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის შენიღბვის მიზნით ოსტატურად იყენებს ბრძნულ ქართულ ანდაზას, ალმა შეედავე და გამოლმა შეგრჩებაო, შემდეგნაირი „დასაბუთებით".

1. კონგრესის არჩევნების ჩაშლის შემთხვევაში საკუთარი „მოღვაწეობის" დაზღვევა ჩემზე გადაბრალებით;

2. საკუთარი რეზიდენციისა და საერთოდ ალბათ არარსებული საბუთების საკუთარი ხელით გაქრობა ჩემზე გადაბრალებით;

3. თავად ქართველი ხალხის თვალში სახელგატეხილნი და ყოველგვარ თანაგრძნობას მოკლებულნი, ეძებენ რა მხარდაჭერას არაქართველ მოსახლეობაში (ასე იყო ბოლნისსა და მარნეულში, დმანისსა და სამაჩაბლოში, ყვარელსა და ავლაბარში), მათთან არასასურველი ვიზიტისას სამარცხვინოდ გამოქცეულნი, კოსტავას ფონდის „გამკითხველებად" გვევლინებიან და მტკნარ სიცრუეს მიმართავენ ფონდის სათათბიროს მიერ კოლოსალური, მართლაც რომ მამულიშვილური საქმეების მრუდე სარკეში წარმოჩენის მცდელობით.

რაც შეეხება სამაჩაბლოში ჩემს „არავაჟკაცურ საქციელს", უპრიანი იქნებოდა თვით იქაური ქართველებისთვის მოგვესმინა, ხოლო „თორმეტი სვანის განცხადებაზე" გიპატაკებთ, რომ საქართველოსთვის დემოგრაფიულად არახელსაყრელ რეგიონებში ქართული ოჯახების დაფუძნებაზე დიდი და მძლავრი იარაღი არ არსებობს.

საოცრად მიამიტურად ჟღერს კოსტავას ფონდის წევრების თქვენებური პატრიოტებით შეცვლის იდეა, თუ გავიხსენებთ თქვენს ერისკაცობას, რომ სწორედ კოსტავას ფონდის დაშლით აიმედებდით იმ არაქართველ მოსახლეობას, რომელთაც ფონდის საქმიანობამ დისკომფორტი შეუქმნა.

რაც შეეხება თქვენს დაუფარავ სურვილს — 25000-იანი აუდიტორიის მიერ დამტკიცებულ და „თქვენდა საუბედუროდ" არჩეული თავმჯდომარის შეცვლას — ეს საკითხი შეგიძლიათ დააყენოთ იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა იმ რაოდენობის მეოთხედის შეკრებას მაინც შეძლებთ ოდესმე. და მაინც, უმთავრესია ქართველი ერის ნდობის მოპოვება, მხოლოდ შემდგომ შეიძლება მოგეცეთ შესაძლებლობა გახდეთ „მთელი საქართველოს მიერ წვალებით შეკრებილი ფულის ბედის" განმგებელნი, ნამდვილად ჩადგეთ ერის სამსახურში. ისე კი სჯობდა ამდენი დავის, ჩხუბისა და უსიამოვნების ნაცვლად მეტი კონკრეტული სასარგებლო საქმეები გეკეთებინათ.

**მერაბ კოსტავას ფონდის გამგეობის თავმჯდომარე ვაჟა ადამია.**

# სატანისტური მიმდინარეობის წინააღმდეგ

**მოახლოვდა** საბჭოთა იმპერიის არსებობის მანძილზე პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომლის საშუალებითაც არჩეული უნდა იქნეს საქართველოს უზენაესი საბჭო. მთელი ერი, მათ შორის სტუდენტობაც დიდ იმედებს ამყარებს ახლად არჩეულ პარლამენტზე. სწორედ ეროვნულმა პარლამენტმა უნდა დაძლიოს ის კრიზისული ვითარება, რაც საბჭოთა ოკუპაციამ გამოიწვია საქართველოში. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ პარლამენტში არჩეული იქნებიან ერის ღირსეული შვილები, ამისათვის კი საჭიროა თითოეულმა ჩვენთაგანმა ხმა მისცეს არა იაფი პოპულარობით დაჯილდოებულ პიროვნებას, არამედ ეროვნული მოძრაობის ავანგარდში მყოფ საქართველოსა და ქართველი ერისათვის მოღვაწე ადამიანებს. მრავალი პარტია თუ ორგანიზაცია გატარდა რეგისტრაციაში, მათ შორისაა ე. წ. საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინი". ორგანიზაციის სახელწოდება ალბათ თითქმის ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს მიანიშნებს, რომ კაცობრიობის, დემოკრატიის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართველი ერის უბოროტესი მტრის სახელის მატარებელი ორგანიზაცია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ეროვნულ, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული მიმდინარეობა, მითუმეტეს, რომ მისი ინტერნაციონალური იდეები მიუღებელია ყოველი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისათვის. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც უტიფრად აცხადებენ, რომ იბრძოლებენ პარლამენტში ადგილების მოსაპოვებლად. ჩვენის აზრით, ყველა ჭეშმარიტი ქართველის ვალია იბრძოლოს კომუნისტური, ლენინურ-სტალინური იდეების წინააღმდეგ, ხოლო თუ საერთაშორისო ორგანიზაციას სურს და ძალუძს დაუმტკიცოს ახალგაზრდობას, სტუდენტობას და ქართველ ერს თავისი მიზნების სიწორე, ვიწვევთ მის ხელმძღვანელებს შეხვედრაზე ფართო აუდიტორიასთან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში. თუ უახლოეს ხანში „სტალინის" ხელმძღვანელობამ არ ისურვა ჩვენთან შეხვედრა, მაშინ იძულებული ვიქნებით დავიწყოთ მასობრივი ანტიკომუნისტური აქციები, რომელიც მიმართული იქნება „სტალინის" და სხვა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მატარებელი ორგანიზაციების არჩევნებში მონაწილეობის საწინააღმდეგოდ. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი სატანისტური მიმდინარეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

**დოც. ვახტანგ ცაგარელი. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები: სანდრო ბრეგაძე, ცოტნე ბაკურია, გია მამალაძე.**

# წერილები და განცხადებები რედაქციას

[illegible] ლი მოგვიწერია.

**მოხსენებით ბარათს ხელს ვაწერთ სოფელ ტაბახმელაში მცხოვრები: ნ. მგალობლიშვილი, ზ. შერმაზანაშვილი.**

●

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის" სათნოების ორდენი შეახსენებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ჰუმანიტარულ მოძრაობაში „კვირაში ერთი დღე მოყვასს" და ეს დღე თავის ყველაზე გაჭირვებულ თანა[illegible]

●

22 სექტემბერს თბილისში ეროვნულ-სოციალური პარტიის შტაბბინაში შედგა პარტიის რიგგარეშე მეორე კონფერენცია.

დღის წესრიგში იდგა 2 საკითხი:
1. პარტიის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე და ეროვნული კონგრესის წინასაარჩევნო კამპანია (მომხსენებელი პარტიის თავმჯდომარე გიორგი ბუმბიაშვილი).
2. ორგანიზაციული საკითხები.

კონფერენციას თავმჯდომარეობდა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ვ. ფაჩუაშვილი.

კონფერენციამ დაადგინა: თანამედროვე ეტაპზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის კრიზისულ პირობებში, პარტიას მიაჩნია, რომ აუცილებლად უნდა იქნეს არჩეული ეროვნული კონგრესი და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ეროვნული კონგრესის წინასაარჩევნო კამპანიაში.

არჩეული იქნა: პარტიის თავმჯდომარედ — გ. ბუმბიაშვილი. მთავარი კომიტეტის წევრებად — ჯ. თადიაშვილი, ვ. ფაჩუაშვილი, გ. იორამაშვილი, გ. კაცია.

შეიქმნა პარტყრილობის მოსამზადებელი საორგანიზაციო ჯგუფი.

**პარტიის საინფორმაციო ცენტრი**

●

ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირი 5 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრამდე აწყობს ავღანეთში ნაბრძოლი ახალგაზრდების, დაღუპულთა ოჯახების წევრების შეკრებას ბაზალეთის ტბის ტურისტულ ბაზაზე.

მოეწყობა შეხვედრები საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან, ისაუბრებენ ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის სასიცოცხლო პრობლემებზე. შეკრების მონაწილეებს მუშაობის და დასვენების ყველა პირობა შეექმნება.

ვინც მიიღებს შეტყობინებას, ვთხოვთ დროულად გამოცხადდეს აღნიშნულ მისამართზე.

●

ამას წინათ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტმა შეხვედრა მოუწყო „მრგვალი მაგიდის" წევრებს.

შეხვედრა გახსნა ინსტიტუტის რექტორმა ზ. კახიანმა.

სიტყვებით გამოვიდნენ ზ. გამსახურდია, თ. ქორიძე და გ. ხოშტარია.

გამომსვლელებმა ისაუბრეს, საქართველოში დღეს არსებული პოლიტიკური მდგომარეობისა და პირველი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების შესახებ. პასუხი გასცეს დამსწრე საზოგადოებისათვის საინტერესო შეკითხვებს.

**ბულიკო ნინიაშვილი,**
**ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კლინიკის ლაბორანტი.**

# „ღმერთო, ქართველის ჭკუა მომეცი"...

**ეს ლაღადისი** იმ ჯიშ-ჯილაგის ადამიანისაა, რომელმაც თავისი განუმეორებელი კვალი დაჩნია ცივილიზაციის განვითარებას მისი ჩასახვიდან დღემდე. და ნატრობს ბიბლიის შემქმნელი, სოლომონისა და დავითის შთამომავალი: „ღმერთო, ქართველის ჭკუა მომეცი, ოღონდ გაჭირვებულის"...

ბევრის მნახველი და გამომცდელი ებრაელი კაცი, რომელიც ასეული და ათასეული წლები გვაკვირდებოდა კავკასიის შემოგარენში თავშეფარებულ ქართველობას, შესანიშნავად ჩასწვდა ჩვენს ეროვნულ ხასიათს: ქართველი, თუ დალხინებულია, მასზე „გიჟვრაცუა" მეორეს ვერ მოძებნი ქვეყნიერებაზე, მაგრამ როგორც კი პირადული, თუ ეროვნული ცხოვრების უღელი შესამჩნევად დაუმძიმდება, მაშინვე რაღაც დაპროგრამირებული კომპიუტერივით ამუშავდება ზოგად-ქართველის სააზროვნო აპარატი: ვერაკაცი ვერ აჯობებს მაშინ მას — ვერც ჭკუაგონებით და მოხერხებით, ვერც ქცევა-ქმედებით და გამბედაობით. „ძნელბედობის" თითქმის 800 წლიანი ეპოქა არაერთ მაგალითს იძლევა ამისას. გამორჩეულად მოჩანს ამ გაწელილ ასწლეულებში რიგით უკანასკნელი...

ამასთან, ეროვნული ბედისწერისა, თუ გზის არჩევის თვალსაზრისით, XX საუკუნის თავი და ბოლო საოცარი მინიშნებებით იმეორებენ ერთმანეთს. საქართველოს ისტორიის ვერცერთ სხვა საუკუნეში ვერ ვნახავთ ასეთ საბედისწერო პარალელებს: **ერთ ჟამსაც და მეორე ჟამსაც ქართველმა კაცმა სასწორზე დადვა თავისი მომავლის ბედ-იღბალი, ორივე ჟამმა ერისთვის საბედისწერო კითხვები დასვა: საით წავიდეთ, რა გზით ვიაროთ, როგორ ვიცხოვროთო?...** მაშინ ამ კითხვებზე ჩვენთვის სასურველი და სწორი პასუხები ვერ გავეცით, თუ არ გაგვაცემინეს, მაგრამ დღეს?! მაშინ ჩვენს საკუთარ სამშობლოში უმიწაწყლოდ დარჩენილ გიჟ-ვრაცუებს, „პარიპარალეთი" ჩამორიგებული მიწები ბოლშევიკების უგუნურმა ავანტიურამ უნებურად უკანვე დაგვიბრუნა, მაგრამ დღეს მწარმოებელი ძალების გარეშე დარჩენილებს რისიღა იმედი უნდა გვქონდეს?..

სამეურნეო ფუნქციადაკარგული ერი არ შეიძლება ნორმალურად განვითარდეს, მეტიც, მან არ შეიძლება დიდხანს იარსებოს. ძველი რომაელების მაგალითი ყველაზე უპრიანია ამ მხრივ: ერი რომ დასწყევლო — გადაშენდიო, პირველ რიგში შრომას უნდა გადააჩვიო და მერე შორიდან უყურო მმართველთა კასტად გადაქცეული, თანამდებობა-„დიპლომანიობის" სენით დაავადებული, როგორ თანდათანობით ლაფავს სულს. ის, რაც ქვეყნის მართვისა და თავდაცვის ფუნქციადაკარგულ თავადაზნაურობას დაემართა XIX საუკუნეში, იგივე ემართება დღეს სამეურნეო ფუნქციადაკარგულ მთელ ერს. **და რაც ყველაზე უარესია: მემკვიდრეობით მიღებული თანამდებობამანიაობის ეს პარაზიტული კულტი სულ უფრო აშკარად აცხადებს პრეტენზიას იყოს მომავალი საქართველოს გზა-მკვლევიც. ჯერ დამოუკიდებლობისათვის არ მიგვიღწევია, ძალაუფლებისათვის კი ერთმანეთს თავ-პირს ვამტვრევთ, თითქოსდა მომავალ საქართველოშიც თანამდებობის გარეშე კაცმა კაცური ცხოვრება ვერ უნდა შეძლოს. ამაზე დიდი გაჭირვება ერსა და ქვეყანას სადღეისოდაც და სამომავლოდაც არ შეიძლება ჰქონდეს — საქმე ხომ თვით ერის არსებობის ისტორიულ-ფსიქიკური საფუძვლების მოშლას ეხება.** სხვანაირად რით ავხსნათ, რომ გუშინდელ გუორგიენს დღეს მიწასთან და ცხვარ-ძროხასთან საქმის დაჭერა აღარ უნდა მთაშიც და ბარშიც...

თითქოსდა ხელმეორედ დაგვიდგა ჟამი ფარნავაზისა — ჟამი ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახალი მშენებლობისა. ამ ჟამის სირთულე იმაშია, რომ ჩვენ ერთი მხრივ, უფლება არა გვაქვს უარი ვთქვათ მემკვიდრეობითობაზე — ბუნების, ადამიანისა და საზოგადოების ამ უკვდავ-უბერებელ ფსიქო-გენეტიკურ კანონზომიერებაზე, მეორე მხრივ კი, ზუსტად და უცვლელად ვერ დავუბრუნდებით 200 წლის წინ შეწყვეტილი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიული განვითარების ფორმებსა და პრინციპებს.

**გზის სწორი არჩევანი — ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს ის, რომ ორგანულად მოვარგოთ ერთმანეთს ეს ორი საწყისი — მემკვიდრეობითობა და სახელმწიფო ორგანიზაციის თანამედროვე ფორმები. სხვანაირად ჩვენი აწმყოსა და მომავლის ამ ურთულეს პოლიტიკურ პრობლემას გონივრულად ვერ გადავწყვეტთ.**

დღეს ბევრს ვლაპარაკობთ პოლიტოლოგიაზე, მის გადამწყვეტ როლსა და მნიშვნელობაზე ხალხის პოლიტიზაციასა და სწორი ეროვნული პოლიტიკის გამომუშავებაში. ისტორიული განვითარების პრიზმით თუ განვსაზღვრავთ პოლიტოლოგიის საგნის არსს, მაშინ იგი სხვა არაფერია, თუ არა ისტორიის ფილოსოფია: თითოეული ერი ვერ განსაზღვრავს მიმდინარე პოლიტიკის სწორ სტრატეგიასა და ტაქტიკას ისტორიული გამოცდილების ფილოსოფიური განზოგადების გარეშე. ეს მით უმეტეს ეხება ისეთ მდიდარ და მრავალფეროვან ისტორიულ გამოცდილებას, რომელსაც ჩვენი ეროვნული განვითარება იძლევა. ამიტომ სულ უფრო მზარდმა ეროვნულმა მოძრაობამ, აღორძინებულმა ქართულმა პოლიტიკურმა აზრმა და ამასთან, ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების სისტემაში ახლახან შემოღებულმა პოლიტოლოგიის საგანმა უპირველესი ყურადღება ამ გამოცდილების ანალიზისაკენ უნდა მიმართოს: **საქართველოში დემოკრატიის გამარჯვების საქმე და ჩვენი საზოგადოების პოლიტიზაციის ინტერესები მოითხოვენ საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობის ინტენსიურ პოლიტოლოგიურ დამუშავებას, ეროვნული ცნობიერებისა და ყოფიერების ფილოსოფიურ განზოგადოებას.**

ამ კუთხით თუ გადავხედავთ ჩვენი ეროვნული ცხოვრების დღევანდელ მდინარებას, იგი გაუკუღმართებულია ყოველნაირად — პოლიტიკურადაც და სოციალურ-ეკონომიკურადაც, დემოგრაფიულადაც და ეკოლოგიურადაც, კულტურულადაც და მორალურ-ზნეობრივადაც. მართლაც და მეტი გაჭირვება ამისთანა ნუღარ შეგვახვედროს ჩვენმა ისტორიულმა ბედმა, ღმერთმა კი, იმდენი სიბრძნე მოგვცეს, რომ მომავლის არჩევანში კვლავაც არ შევცდეთ.

არც ერთ ჩვენთაგანს არა აქვს უფლება მონოპოლია გამოაცხადოს გზის არჩევაზე — მეტისმეტად დიდია პასუხისმგებლობა ჩვენი და შემდგომი თაობების წინაშე. სხვანაირად არც ჩვენს სახელებს ასცდებათ წყევლა-კრულვა განკითხვის ჟამს. **მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრებამ და ხალხის კოლექტიურმა სიბრძნემ უნდა მოახდინოს ეროვნული ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ნებისმიერი შემოთავაზებული ალტერნატივის სამომავლო გზად არჩევა. მთავარია რომ ხალხს შევუქმნათ ამის საშუალება არჩევნებში თავისი ნების გამოვლენის გზით. ამიტომაა რომ მრავალპარტიულ დემოკრატიულ არჩევნებს არსად და მათ შორის ჩვენთანაც, ალტერნატივა არ შეიძლება ჰქონდეთ. ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას ჰაერივით სჭირდება იგი, რომ ბოლოსდაბოლოს დავიწყოთ ცენტრალიზებულ-ბიუროკრატიული სტრუქტურებიდან სახელმწიფო მართვა-გამგეობის ახალ სტრუქტურებზე რეალური გადასვლა.**

ის, რომ ეროვნული მოძრაობის მდინარებამ წარმოშვა მომავალი არჩევნებისადმი ორი განსხვავებული თვალსაზრისი, ამაში არაბუნებრივი და მით უმეტეს, ტრაგიკული არაფერი არ არის. ჯერ ერთი, არც სექტემბრის და არც ოქტომბრის არჩევნებს საბოლოო და რაღაც ფატალური მნიშვნელობის არ შეიძლება იყოს — ორივე გარდამავალი პერიოდის არჩევნებია, ორივეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალები მონაწილეობენ და ღმერთმა ქნას, თუ კი ორივე მათგანმა გაამართლა, მათ წარმატებით შეუძლიათ ფუნქციონირება ერთმანეთის გვერდით. და თუ კი, მოვლენათა მსვლელობა ჩვენთვის ისეთი სასურველი მიმართულებით წარიმართა, რომ საქართველომ უახლოეს ხანშივე მიიღო პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მაშინ ახალი საერთო-ეროვნული პარლამენტის ფორმირება თვით მექანიკური შეერთების გზითაც კი, არ უნდა გახდეს ძნელი, მით უმეტეს რომ ერის ინტელექტუალური ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი არჩევნების შედეგად შეიძლება ერთდროულად ორივე მათგანში იქნას წარმოდგენილი.

**ამიტომ ჯანსაღი აზრი იმას უნდა გვკარნახობდეს, რომ მოვლენათა ნებისმიერი განვითარებისადმი სწრაფი და სწორი რეაგირებისათვის აუცილებელია ორივე არჩევნებისადმი მხარდაჭერა და მათი ნორმალური ჩატარება. მეტიც — უახლოეს მომავალშივე აუცილებელი უნდა გახდეს მათი თანამშრომლობა სხვადასხვა შესაძლებელი ფორმით, თვით ერთიანი საპარლამენტო კომისიების შექმნის ჩათვლით. ამას თხოულობს ჩვენი პოლიტიკური კულტურაც და ეროვნული კონსოლიდაციის ინტერესებიც.**

**ელბერდ ბატიაშვილი**

# ყურადღება!

იმ შემთხვევაში თუ ამომრჩევლები, რაღაც მიზეზის გამო, ვერ შეძლებენ საარჩევნო უბანში ხმის მიცემას, ვთხოვთ მიბრძანდნენ თავიანთი რაიონის რაიონულ საარჩევნო კომისიაში:

1. ისნის რაიონი — ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა, „ისნის" კლუბი.
2. სამგორის რაიონი — ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა საავიაციო ქარხნის პროფკავშირების შენობა, ტ. 71-70-05.
3. მთაწმინდის რაიონი — აღმასკომის შენობა, II სართული, დეპუტატთა ოთახი.
4. დიდუბის რაიონი — დ. აღმაშენებლის № 140. ტ. 95-87-10.
5. გლდანის რაიონი — II მ/რაიონი, მიკროსაბჭო (სახლმმართველობის შენობა) 31-ა კორპუსის პირდაპირ.
6. საბურთალოს რაიონი — ანაგის ქ. შრომის სასახლე III სართული. ტ. 38-96-48.
7. ვაკის რაიონი — აღმასკომის შენობა, I სართული, ტ. 36-05-71.
8. ლენინის რაიონი — სანზონა მე-18 გ კორპუსი, მიკროსაბჭო, ტ. 66-28-92.
9. ოქტომბრის რაიონი — დ. აღმაშენებლის გამზირი № 79, ტექნიკის სახლი, ტ. 95-67-00.
10. კრწანისის რაიონი — ი. გრიშაშვილის ქ. № 56, მოსწავლეთა სახლი, ტ. 72-07-87.

შეგახსენებთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მისამართს:

თბილისი რუსთაველის 29 (ყოფილი იმელის შენობა) ტელ. 93-74-97. აქაც შესაძლებელი იქნება დამატებითი სიების შექმნა და ხმის მიცემა.

**ცენტრალური საარჩევნო კომისია!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყო გაგარინი კოსმოსში?!

**№ 1 კოსმონავტმა პლანეტას ერთხელ შემოუარა. ეს უკვე საკმაოდ გაცვეთილი „სატყუარა" კი ვინ იცის მერამდენე ბრუნს აკეთებს.**

**ცოტა** ხნის წინათ უნგრეთში გამოვიდა წიგნი „გაგარინი — კოსმოსური სიცრუე?" მისი ავტორი, ი. ნემერე ამტკიცებს, რომ გაგარინს არ შემოუფრენია ჩვენი პლანეტისათვის 1961 წლის 12 აპრილს. „ვოსტოკი" კოსმოსში გავიდა რამდენიმე დღით ადრე. მასში იჯდა ცნობილი ავიაკონსტრუქტორის ილიუშინის ვაჟი. მაგრამ ძნელი დაფრენის შემდეგ იგი ადამიანს არ ჰგავდა, მით უმეტეს, საბჭოთა „გმირს". ამისთანას მსოფლიოს ვერ უჩვენებდნენ. პირიქით, საჭირო იყო დიდი ხნით, ანდა სულაც სამუდამოდ მიეფარებინათ იგი თვალთაგან. იმავე წელს ილიუშინი უმძიმეს ავტოკატასტროფაში მოხვდა.

• სასწრაფოდ მოინახა სიმპათიური ჭაბუკი, ოპტიმისტური ღიმილითა და შესანიშნავი ანკეტური მონაცემებით, მუშათა წრიდან. მან შეასრულა საბჭოთა მეცნიერების, განსაკუთრებით კი პოლიტიკის, გრანდიოზული წარმატების გამომხატველის როლი. ნათელია, რომ ასეთ საშინელ საიდუმლოს განდობილი კაცი დიდხანს ვერ იცოცხლებდა.

პუბლიცისტმა ი. ნემერემ მრავალი წელი გაატარა მოსკოვში, სადაც იგი ხვდებოდა „ბევრის მცოდნე" ხალხს. წიგნის გამოცემის ბოლო მომენტამდე იგი არ ამხელდა თავის ავტორობას, რადგან შიშობდა, რომ უნგრეთშიც მოინახებოდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც არ გაუჭირდებოდათ ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმა, რათა შეენარჩუნებინათ ლეგენდა და მარადიული „სიმართლე". მხოლოდ აგვისტოს მიწურულს გამართულ პრესკონფერენციაზე გაიგეს ჟურნალისტებმა სენსაციური წიგნის ავტორის გვარი.

იქამდეც მივედით, უკვე ვიცით სოციალისტურ ქვეყნებში რასაც მოიმოქმედებენ. იღებენ ლენინის ძეგლებს, ბილწავენ საბჭოთა მეომრების ძეგლებს. ახლა კი გაგარინსაც მისწვდნენ.

მაგრამ სწორედ „იმათთან" გამოვიდა გაგარინის დასაცავად ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი ჟურნალისტი, კოსმონავტიკის შესახებ დაწერილი 12 წიგნის ავტორი კარელ პაცნერი. მისი წერილი ახლახან გამოაქვეყნა პრაღაში გამომავალმა გაზეთმა „მლადა ფრონტა დნეს". ერთი დეტალი: 68 წლის შემდეგ კარელმა დიდი უსიამოვნებები გადაიტანა. ასე რომ, მტკიცე მარქსისტად, რომელიც მზად არის ნებისმიერ ფასად დაიცვას „კომუნისტური ლეგენდა", მას ვერ მიიჩნევ.

სიმართლე უნდა ითქვას, წერს კ. პაცნერი, რომ ეჭვი გაგარინის კოსმოსური პირველობის შესახებ ახალი არ არის. ეს დაიწყო ჯერ კიდევ 60-იანი წლების შუა ხანებში. ყველა ყურმოკრული ამბავი, რომელმაც კი გაიელვა დასავლურ პრესაში, სისტემაში მოიყვანა ამერიკელმა მწერალმა დ. ობერგმა თავის წიგნში „ფარული საბჭოთა ავარიები", რომელიც 1988 წელს გამოიცა. კოსმონავტი ლოდოვსკი დაიღუპა 1957 წელს კაპუსტინ იარის კოსმოდრომიდან აფრენის დროს. იმავე წელს დაიღუპა შიბორინი. ორი წლის შემდეგ — მიტკოვი. დღემდე უცნობი კოსმონავტი დაიმსხვრა 1960 წლის მაისში. 1960 წლის სექტემბერში, როცა ხრუშჩოვი წარმოსთქვამდა სიტყვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, დაიღუპა უცნობი კოსმონავტი, რომელსაც ოდესღაც პიოტრ დოლგოვად მოიხსენიებდნენ. ერთი საოცარი საბჭოთა თანამგზავრიდან ვიღაც დასავლეთგერმანელმა რადიომოყვარულებმა 61 წლის 4 თებერვალს დაიჭირეს „ადამიანის გულისცემა", რომელიც მალე მინელდა. ერთი ცნობის მიხედვით, დედამიწის გარშემო ორი საბჭოთა კოსმონავტი დაფრინავდა, სხვისი თქმით, სამი — ბელოკონევი, კაჩური და გრაჩევი. 61-ის აპრილის დასაწყისში დედამიწას სამჯერ შემოუფრინა ილიუშინმა, მაგრამ დაბრუნებისას იგი დაჭრილი იყო. 61 წლის მაისის შუა რიცხვებში ვიღაც ევროპელმა რადიომოყვარულებმა დაიჭირეს რამდენიმე მძიუსტებული ძახილი დახმარებისათვის, ალბათ იმ ორი საბჭოთა კოსმონავტისა. 61 წლის 14 ოქტომბერს საბჭოთა ხომალდი დაიკარგა სამყაროს უსასრულობაში. 62-ის ნომერში იტალიელმა რადიომოყვარულებმა დაიჭირეს SOS-ის სიგნალები კოსმოსიდან. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მაშინ დაიღუპა ბელოკონევი. 63-ის 19 ნოემბერს ტრაგიკულად დამთავრდა ორბიტაზე მეორე კოსმონავტი ქალის გაყვანის ცდა. ისევ იტალიელი რადიომოყვარულების ცნობით, ერთი ან რამდენიმე საბჭოთა ავიაგამომცდელი დაიკარგა 64-ის აპრილში.

თვითონ ობერგი მანამდე სამხედრო სარაკეტო გამოკვლევებს აწარმოებდა, მუშაობდა HACA-ს კოსმოსურ ცენტრში. ის ხაზს უსვამს იმას, რომ ყველა ეს ცნობა ყალბია.

სხვათა შორის, შეიძლება თვით ობერგიც ცდებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტია. მაგრამ არსებობს სხვა წყაროებიც. რა თქმა უნდა, ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის ეპოქის ოფიციალური საბჭოთა წყაროების ნდობა არ შეიძლება. საინტერესოა, რომ ემიგრანტი ვ. ფედოროვი 1973 წელს „შპიგელი"-ში საბჭოთა კოსმონავტის შესახებ გამოქვეყნებულ კრიტიკულ სტატიაში უარყოფდა ხმებს კოსმონავტთა ფარული ბანაკების არსებობის შესახებ. იგი იგონებდა მხოლოდ ერთ სახელს — იური დოლგოვს. მაგრამ ის, მისი თქმით, დაიღუპა სკაფანდრის გამოცდის დროს.

უნდა ვაღიაროთ, წერს კარელ პაცნერი, რომ იმ 25 წლის განმავლობაში, რაც მე საბჭოთა კავშირში დავდიოდი, არასოდეს მსგავსი რამე არ გამიგია ჩემი მეგობრებისაგან; — მეცნიერებისაგან, კოსმონავტებისა და ჟურნალისტებისაგან. ამის მსგავსი მათ არაფერი უთქვამთ შუაღამეს გადაცილებული საუბრების დროსაც კი, როცა ღვინო ან კონიაკი ენიდან ბოქლომს გვხსნიდა. ისინი გულახდილად მიყვებოდნენ სტარტების დაყოვნების, „სოიუზ-1"-სა და „სოიუზ—11"-ის ეკიპაჟების დაღუპვის წვრილმანების გამოუქვეყნებლობის, კოსმონავტებიანი რაკეტების ავარიების მთვარის გასაიდუმლოებული პროექტის სიძნელეების შესახებ. უცნობი კოსმონავტების დაღუპვის შესახებ მინიშნებაც კი არ ყოფილა. რაც შეეხება 1960 წლის მიწურულს მომხდარ ავარიას, ეს გამორიცხულია თუნდაც ტექნიკური მიზეზების გამო. საბჭოებს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰყავდათ გამართული და გამოცდილი კოსმოსური ხომალდი. პირველი თანამგზავრი ხომ 57-ის ოქტომბერში გაუშვეს. კარგი, დავუშვათ, რომ მე ვერ შევხვდი „მცოდნე ხალხს" და ის სტარტები ტარდებოდა განსაკუთრებულ, ზესაიდუმლო ვითარებაში, ისე, რომ ჩემს ინფორმატორებსაც კი არ შეეძლოთ ამის შესახებ რაიმეს გაგება. მაგრამ ეს ხომ არალოგიკურია, რადგან ორი პარალელური პროგრამის განხორციელებას აუარება თანხა დასჭირდებოდა. და თანაც პროგრამის არსებობას სპეციალისტებს ვერ გამოაპარებ.

პაცნერმა დაწვრილებით მოუთხრო ი. გოლოვანოვის წიგნზე „კოსმონავტი ნომერი პირველი", რომელიც 1986 წელს გამოქვეყნდა. იქ განხილულია ხმებიც ჩვენი კოსმონავტების კატასტროფების შესახებ. ჯერ კიდევ 61-ის გაზაფხულზე ამერიკულ ყოველკვირეულში გამოჩნდა ცნობა, 12 აპრილამდე რამდენიმე დღით ადრე კოსმოსში დაიღუპა კაცი და იური გაგარინი ახლა ასრულებს მის „დედამიწაზეო". შემდეგ ამასთან დაკავშირებით წამოტივტივდა ილიუშინის სახელი და თარიღი — 7 აპრილი. მაგრამ ილიუშინი მძიმე ავტოკატასტროფაში მოჰყვა ჯერ კიდევ 1960 წლის ივნისში.

გამოდის, რომ უნგრელი პუბლიცისტი სენსაციად ასაღებს ძველ ხმებს?

სხვათა შორის, პაცნერს კიდევ აქვს ფასეული არგუმენტები. დოქტორმა ჩ. შელდონმა, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკის კვლევითი განყოფილების შეფმა, რომელიც სიკვდილამდე ითვლებოდა საბჭოთა კოსმონავტიკის ყველაზე საუკეთესო ამერიკელ მცოდნედ, კონგრესის წევრებისათვის 1967 წლის ნოემბერში დაწერა მოხსენება: „67 წლამდე არც ერთ ქვეყანას არ დაუკარგავს არც ერთი ეკიპაჟი კოსმოსური ფრენის დროს... ის მოსაზრებები, რომ ბევრი რუსი დაიღუპა კოსმოსში, ძნელია გააქარწყლო, რადგან ისინი საკმაოდ ურყევია, გამაგრებულია სახებით, თარიღებით. ისეთი გამოჩენილი ინფორმატორიც კი, როგორიც იყო ო. პენკოვსკი (ამერიკელი ჯაშუში — რედ.) წერდა თავის მოხსენებით ბარათებში ამ სიძნელეების შესახებ. ამერიკელმა სახელმწიფო მოსამსახურეებმა რამდენჯერმე მოახსენეს კონგრესს, რომ ამგვარი საბჭოთა დანაკარგების შესახებ ამერიკაში არავითარი ცნობა არა აქვთ".

ასევე ფ. კლასი წიგნში „ფარული დაცვა კოსმოსში", რომელიც კოსმოსური შპიონაჟისადმი მიძღვნილი, ეჭვქვეშ არ აყენებს გაგარინის პირველობას. საბჭოთა საზღვრის სიახლოვეს განლაგებული თვალთვალის ამერიკული მიწისზედა სადგურების ქსელი და დაზვერვითი თანამგზავრები იძლევა იმის საშუალებას, რომ თვალყური ადევნონ გაფრენისათვის მზადების ყველა წვრილმანს საბჭოთა კავშირში, მაგალითად, პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ 31-ის აგვისტოში გ. ტიტოვის წარმატებული სტარტის შესახებ შეიტყო მანამდე ვიდრე ამას ოფიციალურად გამოაცხადებდა სააგენტო. 1975 წლის აგვისტოში გამოვიდა კანონი სადაზვერვო სამსახურის ძველი ცნობების გახმაურების შესახებ. მწერალმა მ. კასუტმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს არქივებში აღმოაჩინა 9 დოკუმენტი 1960-75 წლებში კოსმონავტების მომზადების შესახებ. და არც ერთში მინიშნებაც კი არ არის მზვერავთა რაიმე ეჭვზე ფარულ საბჭოთა კოსმოსური ფრენასა და კატასტროფების შესახებ.

ვფიქრობთ, რომ ი. ნემერე მიეკუთვნება იმ ავტორებს, რომლებიც ისწრაფვიან მოიხვეჭონ ფული და სახელი ანტისოვეტიზმის ტალღაზე, რომელიც ასე აგორებულია ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში. ასე ამთავრებს კ. პაცნერი გაგარინის დასაცავად დაწერილ სტატიას.

— 1960 წელს თქვენს გაზეთებში რომ დაებეჭდათ, კოსმონავტთა მოსამზადებელი რაზმის შექმნის შესახებ და კანდიდატთა გვარებიც გამოექვეყნებინა, წარმოიშობოდა ხმები გაგარინის შესახებ? — მეკითხება პაცნერი.

— კარელ, რომელ 60 წელზე ლაპარაკობ, 80-იან წლებშიც კი „კომსომოლსკამ" ვერ შეძლო დაებეჭდა იაროსლავ გოლოვანოვის სტატია „ნომერ პირველი კოსმონავტი", სადაც პირველად იყო მოთხრობილი სიმართლე იმ რაზმზე. და ამავე სახელწოდების წიგნი რომ გამოიცა 86-ში, სახაროვის პერიოდში, ამაზე შენ თვითონაც წერ, იაროსლავ გოლოვანოვს დასჭირდა პოლიტბიუროს ერთ-ერთი წევრის პირადი ნებართვა.

— 64-ის ზაფხულში ჩეხოსლოვაკიაში ისვენებდა ს. პ. კოროლიოვი. მანამ აქ იყო გაგარინი, მას ძალიან მოეწონა „ზლატა პრაჰა", იგი შემდეგ უყვებოდა მის შესახებ სერგეი კოროლიოვს. მთავარი კონსტრუქტორი აქ ინკოგნიტოდ იყო ჩამოსული. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტუმართა წიგნშიც არ იყო ჩაწერილი. გამომშვიდობებისას მან თანმხლებ პირებს უთხრა: „როცა კვლავ ჩამოვალ ჩეხოსლოვაკიაში, უკვე გეცოდინებათ თუ ვინა ვარ". კოროლიოვი გასაიდუმლოების წინააღმდეგი იყო, მაგრამ რა უნდა ექნა, ჩვენთანაც და თქვენთანაც, საბჭოთა კავშირში მოგიწევთ იმის გადატანა, რამაც დასავლეთში უკვე მოჭამა დრო. მქადაგებლები, რომლებიც თავის თავზე იღებენ მასების განკურნებას ნებისმიერი დაავადებისაგან, უცნობი მფრინავი ობიექტები, რომლითაც იქ ბევრი იყო გატაცებული, ახლა კი მხოლოდ ცალკეულ ჯგუფებს თუ აინტერესებს, ეს ყველაფერი უკვე მოძველებული სენსაციებია...

**ე. ჩერნიხ,**
**(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი).**

**პრაღა.**

**„კომსომოლსკაია პრავდა", 22 სექტემბერი, 1990 წ.**

# საპარიკმახეროების საყურადღებოდ!

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოების („ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი") მიერ ტელევიზიით გაკეთდა განცხადება, რომ დაწყებულია საპარიკმახეროებში სტერილიზაციის და ჰიგიენის ნორმების დაცვის შემოწმება.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ შიდსის გადაცემის ერთ-ერთი გზაა დაავადებულის ან ინფიცირებულის სისხლით დაბინძურებული ნივთების გამოყენება (სადალაქო ინსტრუმენტები, პედიკურისა და მანიკურის, კოსმეტიკის იარაღები და სხვა). ერთჯერადი ჰიგიენური საშუალებების არარსებობისა და სტერილიზაციის ნორმების სისტემატური იგნორირების პირობებში, სწორედ საპარიკმახეროებმა შეიძლება ითამაშონ სავალალო როლი ჩვენთან შიდსის გავრცელებაში.



ამ ათიოდე საპარიკმახეროს მაგალითი, რომელთა შემოწმებაც მოხერხდა, გვაძლევს უფლებას, ვილაპარაკოთ საპარიკმახეროების ქსელში საერთოდ არსებულ მდგომარეობაზე, მით უფრო, რომ შემოწმებულ იქნა დედაქალაქის ამ დანიშნულების საუკეთესოდ წოდებული, მატერიალურად ყველაზე უზრუნველყოფილი დაწესებულებები. დასკვნები მეტად შემაშფოთებელია. ხაზს ვუსვამთ, **რესპუბლიკის საუკეთესო საპარიკმახეროებში იმდენად სერიოზულ დარღვევებს აქვს ადგილი, რომ შეიძლება ითქვას, მათი მუშაობა ფაქტობრივად ხელს უწყობს ჩვენში შიდსისა და სხვა გადამდები დაავადებების გავრცელებას.**

ასე მაგალითად: ჩვენს მიერ ნანახ არც ერთ საპარიკმახეროში მჭრელი სადალაქო ინსტრუმენტების (მაკრატელი, თმის შესაკრეჭი მოწყობილობა), მანიკურისა და პედიკურისათვის საჭირო იარაღების სტერილიზაცია არ ხდება დადგენილი წესების მიხედვით; მიუხედავად აკრძალვისა, რიგ საპარიკმახეროებში მაინც პარსავენ წვერს. არც ერთ საპარიკმახეროს არა აქვს სათანადო რაოდენობის თეთრეული, ისე რომ კლიენტებს, როგორც წესი, ნახმარი ზეწრებით, პენუარებითა და ხელსაწმენდებით ემსახურებიან; პლასტმასის სავარცხლები და ჯაგრისები არ მუშავდება სპეციალური ხსნარებით;

მიაქციეთ ყურადღება:

საპარიკმახეროთა მესვეურები ქლორამინის ხსნარის უქონლობას ხსნიან იმით, რომ მათი თქმით, არცერთი აფთიაქი გადარიცხვით არ მუშაობს. ჯერ ერთი, თვით ეს ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს და მეორეც, 200 ლ. 0,5 პროცენტიანი ქლორამინი (ეს მთელი თვის მარაგია ყველაზე დიდი საპარიკმახეროსათვის) ღირს... 32 კაპიკ!

საპარიკმახეროებში პუდრისათვის ბამბის ნაცვლად გამოიყენება მრავალჯერადი ხმარების ღრუბლები. მოჭრილი თმების მოსაცილებლად იყენებენ ფუნჯებს, რაც ასევე დაუშვებელია.

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა სავალალოა. ვვარაუდობთ, დადგა დრო ბოლო მოეღოს ისეთ ვითარებას, როცა ზედმეტ მანეთს დახარბებულნი სრულ იგნორირებას ვუწევთ შიდსის პრობლემას. საფრთხე კი მართლაც რეალურია. საქართველოში შიდსის ვირუსმატარებელთა და დაავადებულთა, აგრეთვე ამ სენით გარდაცვლილთა რიცხვი კატასტროფული ტემპებით იზრდება (უკანასკნელ თვეებში მათი რიცხვი გაორმაგდა!!). მდგომარეობის დრამატიზმს ისიც უსვამს ხაზს, რომ არავინ იცის სინამდვილეში რამდენი ვირუსმატარებელია საქართველოში. ციფრები, რომლებსაც ოფიციალურად აქვეყნებს ჯანდაცვის სამინისტრო, ასახავს მხოლოდ გამოვლენილ შემთხვევებს და არ შეიცავენ ამომწურაობის პრეტენზიას.

ტელეგამოსვლისას ითქვა, რომ თუ უახლოესი ერთი თვის განმავლობაში ზემოაღნიშნული დაწესებულებები რეალურად (და არა ვინმესთვის თვალის ასახვევად) არ მოაწესრიგებენ თავის საქმიანობას, ჩვენი ორგანიზაცია იძულებული გახდება მოუწოდოს საზოგადოებას უარი თქვან მათ მომსახურეობაზე.

საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოება საკმაოდ მრავალრიცხოვანია. საქართველოს თითქმის ყველა რაიონში და ქალაქში მას აქვს თავისი ორგანიზაციები. ჩვენს რიგებში დღეისათვის რეალურად გაერთიანებულია 25 ათასზე მეტი წევრი, ჩვენ, ალბათ, არ გაგვიჭირდება ხალხის უფართოეს მასებს გავაგებინოთ, რომ საპარიკმახეროები დანაშაულებრივ დაუდევრობასა და გულარხეინობას იჩენენ საკუთარი ერის ჯანმრთელობისა და მისი მომავლის მიმართ.

ამჯერად ჩვენი პუბლიკაციის მიზანია, უკანასკნელად გავაფრთხილოთ საპარიკმახერო დაწესებულებები და მოვთხოვოთ მათ მესვეურებს უახლოეს მომავალში მუშაობის კარდინალური გარდაქმნა. ვვარაუდობთ, რომ მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე დარჩენილი დრო სავსებით საკმარისია, რათა მათ ამ გამოასწორონ მდგომარეობა ან თავადვე დახურონ ის დაწესებულებები, რომლებიც არ უპასუხებენ ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს. მეტ თანადგომას მოველით სანეპიდსამსახურების მხრიდან. გვჯერა, რომ ფართო საზოგადოებრიობა, რომელიც სულ უფრო მეტად გრძნობს მოახლოვებული პანდემიის საშიშროებას, გაიზიარებს ჩვენს პოზიციას.

**საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოება (ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი").**

ეროვნული ბიბლიოთეკა







საქართველოს ახალგაზრდულ კავშირთან არსებული ახალგაზრდული მშენებლობების ცენტრი 1990 წლის 30 ოქტომბერს ათამაშებს ფულისა და ნივთმოგების ახალგაზრდულ ლატარიას, რომელშიც, სხვადასხვა იმპორტული თუ სამამულო წარმოების ნივთების გარდა, მოგებაშია:




ავტომობილები:

„ნივა“-2121 — 5 ცალი

„ჟიგული“-2109 — 5 ცალი

„ჟიგული“-21063 — 15 ცალი

„ჟიგული“-2108 — 10 ცალი

„ჟიგული“-2105 — 10 ცალი

აგრეთვე, დიდი ფულადი მოგებები:

10 000 — 40 მოგება

8 000 — 10 „——“

7 000 — 5 „——“

5 000 — 20 „——“

2 000 — 25 „——“

1 000 — 60 „——“

და ა. შ.

სულ გათამაშებაშია 2 მილიონი მანეთის ფულადი და ნივთობრივი მოგება.

ლატარიის გათამაშებიდან ამონაგები თანხები, ტრადიციისამებრ, მთლიანად მოხმარდება რესპუბლიკაში დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღებას, ახალგაზრდა ოჯახების საბინაო პირობების გაუმჯობესებას როგორც ქალაქად ასევე სოფლად.

წინა წლებში შემოსული თანხებიდან 1 მილიონი მანეთი გადაირიცხა სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდში. ამდენივე დაიხარჯა ბოლნისში სახლების შესყიდვისათვის, აგრეთვე, სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში აშენდა საცხოვრებელი სახლები.

ᲘᲩᲥᲐᲠᲔᲗ!!!

**ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ.**

ლატარიის ბილეთის ღირებულებაა 50 კაპიკი.

თქვენ გეძლევათ შანსი მოიგოთ ძვირფასი ნივთები, აგრეთვე, თქვენი წვლილი შეიტანოთ რესპუბლიკის დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღების საქმეში.

# ᲞᲠᲔᲡᲐ, ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ, ᲠᲐᲓᲘᲝ — ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ






26 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲔᲗ ᲡᲐᲥᲢᲔᲚᲔᲠᲐᲓᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲖᲔ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲐ ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ.

# ალორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გობეჯიშვილი თუ ბაუმჰარტნერი?..

თავისუფალი ჭიდაობის ქომაგებს კარგად მოეხსენებათ, თუ როგორი პრინციპული დავაა გაჩაღებული დავით გობეჯიშვილსა და ამერიკელ ბრიუს ბაუმჰარტნერს შორის. 6 წელია მეტოქეები ტოლს არ უდებენ ერთმანეთს და ამ ხნის მანძილზე ისინი უკვე 13-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ჯერჯერობით წინ ამერიკელია — 7:6 და თუ მხოლოდ ოფიციალურ შეხვედრებს მივიღებთ მხედველობაში, ბაუმჰარტნერი ერთქულიან უპირატესობას მაინც ინარჩუნებს — 6:5.

ამ წერილის მომზადებისას, შევხვდი დავით გობეჯიშვილის პირად მწვრთნელს, მსოფლიო ორგზის ჩემპიონს, ბატონ გურამ სალარაძეს. ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატზე შეგირდის გამარჯვება მივულოცე და ვკითხე:

— ბატონო გურამ, საერთო ჯამში ამერიკელი კვლავ წინ არის, მევაპირებ 13-ვე შეხვედრის სტატისტიკური მონაცემების აღწერას... ახლანდელი წარმატების ფონზე, უპერხული ხომ არ იქნება ბაუმჰარტნერის უპირატესობის კონსტატირება?..

**გურამ სალარაძე:** „არა, რას ამბობთ, სრულებითაც არა... ჯერ ერთი, დათო მართლაც ვალშია ბაუმჰარტნერთან, ეს სიმართლეა... მეორე — ამერიკელი იმ დონისა და კლასის მოჭიდავეა, რომ მასთან 7-ჯერ დამარცხება კი არ არის სირცხვილი, არამედ — 6-ჯერ გამარჯვებაა ვაჟკაცობა; მესამე — არც ერთი მოჭიდავე არ აპირებს ჯერჯერობით ჭიდაობისათვის თავის დანებებას, ასე რომ, გულშემატკივარიც ზუსტად უნდა იყოს მოვლენების კურსში და დათოსთვისაც მაგ მასალის გამოქვეყნება დამატებითი სტიმული იქნება; და მეოთხე — ჭიდაობაში, ისე როგორც სპორტის ყველა სახეობაში, დიდი მნიშვნელობა აქვს „საკუთარ კედლებს“, დაე, მკითხველს ისიც გავაგებინოთ, რომ 13-დან 4 შეხვედრა ჩატარდა „ნეიტრალურ მინდორზე“, 3 — საბჭოთა კავშირში, 6 — კი შტატებში. ესეც არც თუ უმნიშვნელო ნიუანსია“.

ახლა კი გთავაზობთ 13-ვე „დუელის“ „მშრალ“ აღწერას:

1. 1985 წ. იანვარი, ერევანი. საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა: 9:5 — ასე დაამარცხა ნაკრების დებიუტანტმა დავით გობეჯიშვილმა ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ბრიუს ბაუმჰარტნერი;

2. 1985 წ. თებერვალი, თბილისი. ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. 5:1. — ამ ანგარიშით გაიმარჯვა ბაუმჰარტნერმა და საერთო ჯამში თანაფარდობა აღინიშნა — 1:1;

3. 1985 წ. ოქტომბერი, ბუდაპეშტი. მსოფლიოს პირველობა. 9:3 — დათო კვლავ დაწინაურდა — 2:1;

4. 1986 წ. მარტი, ტოლიდო. მსოფლიო თასის გათამაშება. იგებდა რა შეხვედრას, დათო ოდნავ მოდუნდა და... სუფთა დამარცხება. ანგარიში თანაბარია — 2:2;

5. 1986 წ. ივლისი, მოსკოვი. კეთილი ნების თამაშები. დათო კვლავ იგებდა — 4:0, მაგრამ ამერიკელმა გაათანაბრა ანგარიში — 4:4, გამარჯვებაც მასვე მიეკუთვნა, რადგან ორი ორქულიანი გდება ჰქონდა აქტივში. ამჯერად ბრიუსი დაწინაურდა — 3:2;

6. 1986 წ. ოქტომბერი, ბუდაპეშტი. მსოფლიოს პირველობა. 2:6 — ბაუმჰარტნერი პირველად და უკანასკნელად ხდება მსოფლიოს ჩემპიონი. საერთო ანგარიშია — 2:4.

7. 1988 წ. მარტი, ტოლიდო. მსოფლიო თასის გათამაშება. 11:5 — დათო ამცირებს სხვაობას — 3:4;

8. 1988 წ. მარტი, ტოლიდო. ამხანაგური შეხვედრა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ნაკრებ გუნდებს შორის. ამერიკელი მინიმალური სხვაობით იგებს — 4:3 და კვლავ წინაა — 5:3;

9. 1988 წ. ოქტომბერი, სეული. ოლიმპიური თამაშები. 3:1 — გობეჯიშვილი ოლიმპიური ჩემპიონია. პირადი ანგარიში კვლავ ამერიკელს მიჰყავს — 5:4;

10. 1989 წ. დეკემბერი, პიტსბურგი. მსოფლიოს სუპერთასის გათამაშება. ანგარიშით 4:3.—გამარჯვება ბაუმჰარტნერს ხვდა წილად, რომელმაც აღადგინა ორქულიანი სხვაობა —6:4. გობეჯიშვილის აზრით, ეს შეხვედრა ძალზე ტენდენციური მსაჯობით გამოირჩეოდა;

11. 1990 წ. მარტი, ტოლიდო. მსოფლიო თასის გათამაშება. 6:0— ბაუმჰარტნერი დიდი ანგარიშით დაწინაურდა 7:4;

12. 1990 წ. ივლისი, სიეტლი, კეთილი ნების თამაშები. 3:1 — დათო ამცირებს სხვაობას — 5:7;

13. 1990 წ. სექტემბერი, ტოკიო. მსოფლიოს პირველობა. 2:0 — სხვაობა კვლავ მინიმალურია — 6:7.

ახლა კი, ნება მომეცით, გამოვთქვა პროგნოზი, რომელსაც, იმედია, მიკერძოებაში არ ჩამომართმევთ. ჩემი აზრით, მომდევნო შეხვედრებში ბაუმჰარტნერს წარმატების ნაკლები შანსი აქვს და აი, რატომ:

1. იგი უკვე 31-ე წელში გადადგა, რაც დღევანდელი ტემპიანი ჭიდაობისათვის კრიტიკული ასაკია. უკვე მეათე წელია ბრიუსი თავისი გუნდის შეუცვლელი პირველი ნომერია და მის რეზერვებზე ეს დაღებითად როდი მეტყველებს. გობეჯიშვილი კი მასზე უმცროსიცაა (3 წლით) და უფრო „მეხახულიც“;

2. ბაუმჰარტნერის ფიზიკურ კონდიციებზე გარკვეულ უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს მისი ზედმეტი წონა. იგი 126-129 კგ-ით ჭიდაობს. ე. ი. „საშეჯიბრო წონიდან“ დასაშვებ წონამდე (130 კგ) თითქმის ბევრი არაფერი უკლის. ეს კი მნიშვნელოვანი მინუსია, რამდენადაც მოჭიდავეს უნდა ჰქონდეს გარკვეული რეზერვი „წონის გასაქცევად“. ბაუმჰარტნერს კი გაუჭირდება ასეთი ფუფუნება, რადგან წონის ჩაბარების ფსიქოლოგიური მომენტი გარკვეულ არასასიამოვნო კვალს დაამჩნევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — იგი თავის ნებაზე ვერ მოდუნდება, ვერ აღიდგენს ენერგიას, ვერ დაისვენებს, გობეჯიშვილს კი წონის პრობლემა არ აწუხებს (113-116 კგ);

3. ბაუმჰარტნერს თავის ქვეყანაში არც ერთი ძლიერი მოწინააღმდეგე არა ჰყავს. ჩემთვის გამოცანაა მნიშვნელოვან შეჯიბრებისათვის მზადებისას თუ ვის ირჩევს იგი სპარინგ-პარტნიორად, ალბათ, ქვემძიმეწონოსნებს. ბუნებრივია, ღირსეული მეტოქის არ ყოლამ ერთგვარად შეაფერხა მისი ტექნიკური ზრდა. გობეჯიშვილს კი, ადრეც და ეხლაც არც თუ დაბალი კლასის კონკურენტები ჰყავდა (თუნდაც დღეს, საქართველოს ნაკრების წევრებს — ზაზა თურმანიძეს, გია გალდავას, მერაბ ვალიევს, ლევან ებანოიძეს... ნებისმიერ საერთაშორისო დონის შეჯიბრებაში შეუძლიათ საპრიზო სამეულზე პრეტენზიის განცხადება). ასე რომ, როცა მოჭიდავეს თავისი მეტოქის „ზრდა“ აფიზლებს, ეს არც თუ უმნიშვნელო კოზირია მაღალი კლასის ოსტატის სპორტულ ბიოგრაფიაში.

დაბოლოს, თუ გავითვალისწინებთ სამივე ფაქტორს მთლიანობაში, დათოს პერსპექტივები უფრო ოპტიმისტურად განგვაწყობს. თუმცა, ბურთისა არ იყოს, ხალიჩაც მრგვალია და აქაც „შეიძლება ყველაფერი მოხდეს“...

**ბელა ბარაყანიძე,**

## საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინების“ ინიციატივით:

8 ოქტომბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ტარდება საქართველოს საქველმოქმედო კონცერტი.

### მონაწილეობენ:

ელენე ჟიჟიძე
სოფიკო ჭიაურელი
ზინაიდა კვერენჩხილაძე
გივი ბერიკაშვილი
ქართლოს კასრაძე
კოტე მახარაძე
ლევან უჩანეიშვილი
რამაზ იოსელიანი

### ანსამბლები:

**„მართვე“**

**„ოთხი გია“**

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული აკადემიური ანსამბლი,

### პანტომიმის თეატრი

და სხვანი.

შემოსავალი გადაირიცხება სოფელ ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში.

### ვიზების სათარგმნად

გთხოვთ, მომართოთ კოოპერატიულ ფირმა „[illegible]“, რომელიც [illegible] დასვენების დღეების გარდა 11-დან 21 საათამდე [illegible] თარგმნის [illegible] ტელეფონით, 22-58-40 [illegible] № 3.

## დავით ცხვირაშვილი

**მუხთალმა** ბედმა მშობელ ერს კარგი ყმა გამოაცალა, დედ-მამას სასიქადულო შვილი და ლეგიონერებს ერთგული ძმა და მეგობარი დავით (დათუნა) ბორისის ძე ცხვირავაშვილი.

როგორც კი გაიგო ქართველ შევარდენთა ლეგიონი დაარსდაო, მოვიდა და ისეთი დაჟინებით გვთხოვა, რომ არ მიგვეღო არ იქნებოდა.

ათასობით მისი თანატოლი, ნორმალური ბავშვური ცხოვრებით ცხოვრობდა, ის კი თავგამოდებით ემზადებოდა, სულსა და სხეულს იკაჟებდა, სურდა გაზრდილიყო სამშობლოს ღირსეულ დამცველად.

კოჯორში 1921 — წელს დაღუპულ მამულიშვილთა სულის მოსახსენებლად, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობაზეც თავისი წვლილი შეიტანა, ცოტა ოფლი როდი აქვს ჩაღვრილი ამ საშვილიშვილო საქმეში.

ღმერთთან და ერთან თავისი წილი დაიდო, მეტი რაღა უნდა გაეკეთებინა თხუთმეტი წლის ვაჟკაცს?!

ყველას მოყვარული, მუდამ ღიმილით ხვდებოდა სხვას და როცა ღიმილი ტკივილმა შეუშრო ლამაზ სახეზე, ადამიანთა გულცივობა დახვდა — ამას შეეწირა კიდეც ის...

ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

ხოლო ხსოვნა მისი მანამ იქნება ჩვენში, მანამ ერთი ლეგიონერი მაინც იქნება საქართველოში.

მშვიდობით ძმაო. შენ ცოტა ხანს იყავ სააქაოში, მაგრამ იმაზე მეტი შეძელი გაგეკეთებინა ვიდრე შეგეძლო.

შენ იმათ რიცხვს ეკუთვნი, ვისზეც ჩვენმა ბრძენკაცმა ბრძანა: „ათას ცოცხალსა ბევრჯერ სჯობს, ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია“-ო.

შენ შენი ვალი პირნათლად მოიხადე, ასევე წარსდგები უფლის წინაშე, ილოცე ჩვენთვის, — მშვიდობით.

**ქართველ შევარდენთა ლეგიონის სამხედრო საბჭო.**

### ყურადღება!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ და [illegible] „ოლიმპიონის“ რედაქცია [illegible] ტელეფონზე: 97-58-24, მისამართი: ბუდაპეშტის № 1. (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე).
ფირმა „არგო“ ს [illegible]

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მთავარი — 98-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 92-21-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში, სიმაღლეში № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 68400 უე 00916

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380008 მ. კოსტავას ქ. № 14.